


შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №14 დეკემბერი 2010






# 2011 წლის ჰოროსკოპი ზოდიაქოს ყველა ნიშნისათვის



აღმოსავლურ ჰოროსკოპში 2011 - არის თეთრილითონის ბოცვერის (კატის, კურდღლის) წელი.

ეს წელიწადი მიეკუთვნება წელთა ციკლს,რომლის სახელწოდება ითარგმნება, როგორც - “ბოცვერი, რომელიც იყურება სოროდან” და ხასიათდება არაერთმნიშვნელობითა და მოჩვენებითი სიმშვიდით. მასთან შეხებაში შესვლის დროს, ზედაპირულად რომ შევხედოთ ყველაფერს, უჩვეულოს ვერაფერს ვერ შევნიშნავთ. სინამდვილეში კი უდარდელობის, დაუდევრობისა და ოპტიმისტური განწყობის ნიღაბის ქვეშ იმალება კურდღლის ბუნება. ამის სრული უგულველყოფა შეუძლებელია ვინაიდან ამ დამალული ბუნების გამო 2011 იქნება დიდი ვარდნებისა და აღმავლობების, მაქსიმალურიდან - მინიმალურ მაჩვენებლებამდე ნახტომების წელი და ამ ნახტომების დროს ნებისმიერი ჩვენთაგანი ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს პანიკური განცდებიდან რამოდენიმე ნაბიჯში.

ბოცვერის წელს დაბადებული ცნობილი ადამიანები: კონფუცი,იოსებ სტალინი, ლევ ტროცკი, ეპიკური, ლიუს კეროლი, ფიდელ კასტრო, ალბერტ აინშტაინი, მარია კიური, პიტერ ფონდა, სტინგი, უიტნი ჰიუსტონი,ევა პერონი,ჯინა ლოლლობრიჯიდა, უიტნი ჰიუსტონი, მადდი უოტერსი, არტურო ტოსკანინი.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ 2011 (თეთრი ბოცვერის,კატის,კურდღლის) წლის მოვლენები განვითარდება ხელსაყრელი ვარიანტით, მთელი ჰოროსკოპის სიტუაცია შესაძლოა განვითარდეს სხვა,უფრო ოპტიმისტური სცენარით, ვინაიდან უსაფრთხო,სასიკეთო პირობებში ბოცვერი კვლავ იძენს თავდაჯერებულობასა და გაბედულობას. ამგვარი სცენარის განვითარების შემთხვევაში მოგებული დარჩება ყველა. ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ვითარება ხელოვნურის მსგავსი იქნება და, თუ 2011 წლის განმავლობაში ვერ შევძლებთ შექმნილი წინააღმდეგობების მოგვარებას, შემდგომი 2012 (დრაკონის) წელი შესაძლოა ერთდროულად მოგვთხოვს ორივე წლის “დავალიანებების” გადახდას. ზოგ შემთხვევაში ამ გადასახადის ფასი შეიძლება ზედმეტად “ძვირიც” გამოდგეს.

თეთრი ბოცვერის წელს ახასიათებს, ერთის მხრივ რთული და დამფრთხობი, ხოლო მეორეს მხრივ მარტივი და სადა, ანუ გაორებული სტრუქტურა,რომელსაც შეუძლია ვერაგულად ითამაშოს ადამიანის სისუსტეებსა და მოლოდინებზე და იქცეს მთელი წლის განსაზღვრელ ფაქტორად. ამიტომ 2011 წლის სიმბოლოსათვის - ბოცვერისათვის დამახასიათებელი სიფრთხილით,ჯეროვნად უნდა ვაფასებდეთ ყველა შექმნილ სიტუაციას და ვიტოვებდეთ უსაფრთხო გამოსავლის მოძებნის შესაძლებლობას.

თუ ვისურვებთ 2011 წლის ჰოროსკოპის საკვანძო მომენტებში გარკვევას უპრიანი იქნება განვიხილოთ ის ტენდენციები, რომლებსაც ქადაგებს პლანეტარული ასპექტი. ბოცვერის წელი შედარებით მშვიდად დაიწყება, რათა ნაბიჯ-ნაბიჯ მიგვიყვანოს იმ გარდაქმნებამდე, რომლებიც გველიან უმოკლეს ხანში. უკვე ზაფხულის დასაწყისში, ჰოროსკოპში პლანეტების კარდინალურად ახალი განლაგების გამო, ბოცვერი შემოგვთავაზებს პირველ სიურპრიზს. წლის ამ პერიოდში სხვა მრავალსახოვან პლანეტარულ ასპექტებთან ერთად, საიდანაც შეიძლება გამოვყოთ იუპიტერისა და ურანის,აგრეთვე პლუტონისა და სატურნის ურთიერთმოქმედება, ნავარაუდევია მთვარის პირველი დაბნელება.

სიტუაციის დაძაბვა შემდგომ უკვე აგვისტოს თვეში გაგრძელდება,როდესაც მარსი და სატურნი სასწორის თანავარსკვლავედში შექმნიან ენერგეტიკულად გაჯერებულ ასპექტს იმ დროს როდესაც ურანი და სატურნი შექმნიან გადაბმას მთვარის ორბიტის აღმავალი კვანძის მიმართ პლუტონის რთულ ასპექტთან. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ის გარემოც, რომ ბოცვერის წლის განმავლობაში, იმ დროს როდესაც სატურნი ურანის მიმართ ქმნის რამდენიმე პრეტენციოზულ ოპოზიციას, ისეთი პლანეტები, როგორიცაა იუპიტერი და ურანი ვითომდა თამაშ-თამაშით იტრიალებენ თევზისა და ვერძის თანავარსკვლავედების გარშემო. მაგრამ ყველაზე საინტერესოა ის, რომ 2011 წლის განმავლობაში იუპიტერი როგორც გამადიდებელი მინა გააძლიერებს ურანისა და სატურნის გავლენას და წლის ბოლოს აღმოჩნდება ჰოროსკოპის ყველაზე ზებუნებრივ ადგილას (თევზის თანავარსკვლავედის უკანასკნელ გრადუსში და ვერძის თანავარსკვლავედის პირველ გრადუსებში). ყველა ამ გარემოს დეკემბრის თვეში მივყავართ 2011 წლის კულმინაციურ მომენტამდე, როდესაც დაისმება საბოლოო წერტილი კაცობრიობის დარწმუნებისათვის, რომ მას უკუგზა არააქვს და მხოლოდ წინსვლისკენ გეზი გააჩნია. წლის ამ პერიოდში 2011 წლის ჰოროსკოპში ემთხვევა კოორდინატების ყველა ნიშნეული, რაც მიუთითებს გრანდიოზულ გარდაქმნებზე, რომლებიც მიუხედავად მათი სიცხადისა, საბოლოოდ მაინც მოულოდნელობით აღსავსე იქნებიან. მარსის (მშვილდოსნის ნიშნთან) და პლუტონის (მთვარის ორბიტასთან) მიმართებაში და ორივე პლანეტის თხის რქისა და კირჩხიბის თანავარსკვლავედების მიმართ განლაგების პირობებში ზამთრის ნაბუნიაობის დღეს მოხდება მთვარის დაბნელება,რაც თავისთავად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. და მაინც პარალელი ცვლის პერიოდთან საკმაოდ მკაფიოდ იკითხება, 2011 წლის 21 – 22 დეკემბერი გარდამტეხი მომენტი გახდება არა მხოლოდ მთელი წლისთვის (დღის ხანგრძლივობის ზრდის დასაწყისი),არამედ გარდატეხის ზღვრულ მომენტად იქცევა მთელი კაცობრიობისათვის, რომელიც ამ დროსთვის იწყებს საკუთარი განვითარების ახალ ფაზაში შესვლას.

ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას,რომ თეთრი ბოცვერის წლის თანხმლე მოვლენებში ყველაზე დიდ სარგებელს მოიპოვებს უმტკიცესი ხასიათის მქონე,თავდაჯერებული ადამიანი, რომელსაც პიკურ სიტუაციაში შესწევს სალი აზროვნებისა და ნეგატიური განწყობების დაძლევის უნარი.

# 2011 წლის საუნივერსიტეტო ცხოვრების პრიორიტეტები



გაზეთ "ბათუმის უნივერსიტეტს" შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე ესაუბრება.

**– მიმდინარე წელი უნივერსიტეტში საიუბილეო წლად არის გამოცხადებული. რამდენიმე დღეც და იგი ისტორიის კუთვნილება გახდება. როგორ შეაფასებდით 2010 წლის საუნივერსიტეტო ცხოვრებას?**

– 2010 წელი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საიუბილეო წელი იყო. მას დაარსებიდან 75 წელი შეუსრულდა.

2010 წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ქართულ საზოგადოებასთან ერთად აღნიშნა უნივერსიტეტის სახელოვანი იუბილე – დაარსებიდან 75-ე წლისთავი.

2010 წელი უნივერსიტეტისათვის გამოცხადებული იყო საიუბილეო წლად და მისი აღნიშვნა მოხდა იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებებით; ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენციები, საზაფხულო სკოლები, სემინარები, სიმპოზიუმები, კულტურულ-შემოქმედებითი საღამოები და ა.შ.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საიუბილეო წელს შეხვდა ინტეგრირებულ სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებთან – აგრარული, მემბრანული ტექნოლოგიების, ბიომრავალფეროვნების, ნიკო ბერძენიშვილის და კიტოპათოლოგიის ინსტიტუტებთან ერთად. ჩამოთვლილი ინსტიტუტების უნივერსიტეტთან ინტეგრაციის შედეგად გაძლიერდა ბსუ-ს სამეცნიერო პოტენციალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

2010 წლის საუნივერსიტეტო ცხოვრება ორიენტირებული იყო ბსუ-ს მართვის მენეჯმენტის, მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებისაკენ. შედეგად მივიღეთ ის, რომ განხორციელდა ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია აკადემიური პერსონალის სრულად შენარჩუნებით; ორიოდე წლის უკან ბსუ-ს ფინანსური მდგომარეობა თუ სავალალო, უფრო მეტიც, კრიტიკული იყო დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ გამართულია. 2010 წელს უნივერსიტეტმა თავისი შემოსავლებით შეისყიდა კომპიუტერული ტექნიკა და დაიწყო ზრუნვა თანამედროვე, სტუდენტთა სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი სახელმძღვანელოების შესყიდვაზე. ამასთან აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით კაპიტალურად გარემონტდა სპორტული დარბაზი, ჩვენი სახსრებით კი ზოგიერთი კაბინეტ-ლაბორატორიები; ბსუ-ში ჩამოყალიბდა სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვანწილად მოაწესრიგა ლექცია-პრაქტიკულების ჩატარების პროცესი და იგი შესაბამისობაში მოიყვანა სასწავლო ცხრილთან; რაც შეეხება სწავლების ხარისხს, ამ მხრივ კმაყოფილებას ნამდვილად ვერ გამოვთქვამ, იგი რჩება არა მხოლოდ მომავლის პრიორიტეტად, არამედ მუდმივი ზრუნვის საგნად.



**– შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძირეული სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა. დავიწყოთ იქიდან, რომ ერთბაშად ხუთი ფაკულტეტი გაერთიანდა**



– ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობითმა პროცესმა წინა პლანზე წამოწია უმაღლეს განათლებაში ისეთი მიმართულებები, როგორიცაა საბუნებისმეტყველო, საინჟინროტექნოლოგიური, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, პედაგოგიური და სხვა.

რა თქმა უნდა, უნივერსიტეტი, უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებულია საზოგადოების ინტერესებზე, ამასთან, პასუხობს სახელმწიფოს მოთხოვნებს, სწორედ ამიტომ ამ დარგებზე გაზრდილი მოთხოვნები რსუ-ს უფლებას აძლევს, თავისი ტრადიციებისა და რესურსების გამოყენებით, გააძლიეროს არსებული, განავითაროს ახალი მიმართულებები და წარმატებით გაართვას თავი სახელმწიფოსა და საზოგადოების დაკვეთას.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა და დანიშნულება იყო, არის და მომავალშიც იქნება რეგიონის სკოლებისათვის კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება, რასაც დღეს მათი შემდგომი პროფესიული ზრდა და დახელოვნებაც დაემატა. აღნიშნულიდან გამომდინარე, რსუ-ში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ განხორციელდა ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულების – ფაკულტეტების რეორგანიზაცია და 8 ფაკულტეტის ნაცვლად ჩამოყალიბდა 5 ფაკულტეტი: განათლებისა და მეცნიერებათა, აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის, საინჟინრო ტექნოლოგიური, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის და ტურიზმის. რეორგანიზაციის შედეგად სრულად შენარჩუნდა არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი, არამედ ყველა საგანმანათლებლო პროგრამა.



**– უნივერსიტეტის ადგილმონაცვლეობის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა...**

– აჭარის რეგიონის ისტორიულმა ღირებულებებმა, სტრატეგიულმა ადგილმდებარეობამ ბათუმს მსოფლიო საუნივერსიტეტო ქალაქებს შორის ღირსეული ადგილის დაკავების შანსი მისცა. პროექტი – "ბათუმი –საუნივერსიტეტო ქალაქი" – კვლავ აქტუალურია და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს განვითარების დიდ პერსპექტივას სძენს.

სწორად აღნიშნული ჩვენი პრეზიდენტის მოწოდება და განცხადება – ბათუმში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით გახდა საფუძველი იმისა, რომ დღეისათვის განიხილება საკითხი რსუ-ს გაფართოებასთან დაკავშირებით. თუ რსუ-ს ინფრასტრუქტურა საკმარისი აღმოჩნდება და მის ბაზაზე შესაძლებელი იქნება მრავალრიცხოვან სტუდენტზე გათვლილი თანამედროვე მოთხოვნების უნივერსიტეტის ჩამოყალიბება, რსუ ადგილმდებარეობას არ შეიცვლის. საბოლოო გადაწყვეტილება საზოგადოებისათვის იქნება ცნობილი.

**– რა იქნება 2011 წლის საუნივერსიტეტო პრიორიტეტები?**

– 2011 წლისათვის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი იქნება თანამედროვე მოთხოვნებისა და კომპეტენციების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი დიპლომირებული სპეციალისტების, ბაკალავრების, მაგისტრებისა და დოქტორების მომზადება; შესაბამისი პროფესიული კომპეტენციის მქონე სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მოზიდვა; ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა; სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა; უცხოეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან კავშირების გაფართოება, სტაჟირებასა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მონაწილეობისათვის ხელშეწყობა.

პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის შესაბამისი კულტურული გარემოს ჩამოყალიბებისა, სტუდენტების საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრისა და მათი უფლებების დაცვის მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია და აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახური.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წელს მოქმედებდა და 2011 წელს ძალაში დარჩება სოციალური შეღავათების მინიჭების პროგრამები:

დედ-მამით ობოლი სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან;

სოციალურად დაუცველი კარგი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები, კონკურსის საფუძველზე, უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან იღებენ თანადაფინანსებას სწავლის საფასურის გადახდისათვის;

სტიპენდიები:

წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით;

წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთაც აქვთ გარკვეული წარმატებები სამეცნიერო მუშაობაში, კონკურსის საფუძველზე, ენიშნებათ სახელობითი სტიპენდია 150 ლარის ოდენობით;

სოციალურად დაუცველ წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნებათ ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია 250 ლარის ოდენობით.

**– როგორ მიულოცავდით დამდეგ შობა ახალ წელს უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს?**

– გულითადად ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, მისი დაარსებიდან დღემდე უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა თაობის წარმომადგენელს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, წარმატებებს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში და ვიმედოვნებ, რომ მათი ძალისხმევით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი იქნება უფრო წარმატებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

# ინტერვიუ ბათუმის მერთან

## „ახალ წელს რიგითი ბათუმელების ოჯახში ვეგებები“

**ქალაქის ბიუჯეტიდან საახალწლო სამზადისისთვის 1035000 ლარია გამოყოფილი. ბათუმი გრანდიოზულად აღნიშნავს 2011 წლის შემობრძანებას. 2010 წელს დაწყებული საქმეები მომდევნო წელსაც პრიორიტეტული იქნება.**

**გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ ქალაქის მერი რობერტ ჩხაიძე ესაუბრება:**

**— ბატონო რობერტ, ბათუმი წინასაახალწლო სამზადისშია. საახალწლოდ ბიუჯეტიდან რა რაოდენობის თანხაა გამოყოფილი და რას პირდება ქალაქის მერია ბათუმელებს?**

— უკვე მერამდენე წელია ბათუმი განსაკუთრებულად ხვდება ახალი წლის შემობრძანებას. არც წლევანდელი წელია გამონაკლისი, წინასაახალწლო სამზადისი უკვე დაწყებულია,



„მერიის სხვა თანამშრომლებთან ერთად, ვცდილობ ცოტათი მაინც ვასიამოვნო და საზეიმო განწყობა შევუქმნა მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. გასული წლის მსგავსად, წელსაც ვაპირებთ ახალი წლის ღამეს მოვინახულოთ რამდენიმე სოციალურად დაუცველი ოჯახი და შეძლებისდაგვარად, მათ ბავშვებს საახალწლო სურვილები ავუსრულოთ“.

ქალაქი საზეიმოდაა მორთული, ანთებულია ქალაქის მთავარი ნაძვის ხეც. ბათუმში არაერთი



საინტერესო ღონისძიება მოეწყობა როგორც პატარების, ასევე უფროსებისთვის. არის დაგეგმილი საახალწლო კარნავალი ყინულის სასახლეში, კოსტიუმირებული და საკონცერტო წარმოდგენები ქალაქის ქუჩებში, საბავშვო კონცერტი 6 მაისის პარკში. 2 იანვარს მემედ აბაშიძის ქუჩაზე მოეწყობა კულინარიული გამოფენა, რომელშიც ქალაქის თითქმის ყველა რესტორანი მიიღებს მონაწილეობას. გამოფენას შემოუერთდებიან სტუმრები აჭარის რაიონებიდანაც, რომლებიც თავიანთ გასტრონომიას, ეთნოგრაფიასა და ქორეოგრაფიას წარმოადგენენ. მთავარი წარმოდგენა კი 31 დეკემბრის ღამეს გაიმართება.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ახალი წლის ღამე ყველასათვის დაუვიწყარი იყოს. დაგეგმილია გრანდიოზული კონცერტი, რომელშიც, ქართველ შემსრულებლებთან ერთად, მსოფლიო ვარსკვლავი ანდრეა ბოჩელი მიიღებს მონაწილეობას. იქნება სხვა სიურპრიზებიც...

რაც შეეხება თანხებს, ქალაქის ბიუჯეტიდან საახალწლო სამზადისისთვის სულ 1035000 ლარია გამოყოფილი, ამ თანხაში შედის ქალაქის საახალწლო აქსესუარებით მორთვა-გაფორმებაც და საახალწლო ღონისძიებებიც. იმდენად, რამდენადაც ბათუმი გრანდიოზულად აღნიშნავს 2011 წლის შემობრძანებას, საახალწლო კონცერტის მაღალორგანიზებულად ჩატარებისთვის თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც იხარჯება.

**— ბათუმში ამჟამად მშენებლობების ბუმია. ხალხი ხედავს, რომ ქალაქი დღითიდღე შენდება და მშვენდება, მაგრამ ქუჩების სარემონტო სამუშაოები გაჭიანურდა. როდისთვის დასრულდება ქალაქის კეთილმოწყობა?**

— ფაქტია, რომ ბათუმის თითქმის ყველა კუთხეში მშენებლობა მიმდინარეობს, ქალაქი თანდათან იცვლის იერს და ევროპული ტიპის ქალაქად ყალიბდება. ამასთანავე, ვცდილობთ შევინარჩუნოთ ქალაქის ძველი სახეც, რა მიზანსაც ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა ემსახურება. გაფართოვდა ბათუმის საზღვრებიც, გალამაზდა და კეთილმოეწყო შემოერთებული ტერიტორიები, მაგრამ მოგეხსენებათ, როცა ქალაქს წყლისა და საკანალიზაციო სისტემის პრობლემა აქვს, ამ საკითხის მოგვარების გარეშე ქალაქის განვითარებაზე საუბარი ზედმეტია. სწორედ ამიტომ დავიწყეთ ბათუმისთვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული პროგრამის – წყლისა და საკანალიზაციო სისტემის სრული რეაბილიტაციის განხორციელება, რისი დასრულების შედეგადაც ქალაქს მთლიანად მოეხსნება ამ სფეროში არსებული პრობლემები. სამუშაოები იმდენად მასშტაბურია, რომ გრაფიკი რამდენიმე წელიწადზეა გათვლილი. პროექტი 2013 წელს დასრულდება. სამუშაოების მიმდინარეობისას გადაითხარა ქალაქის ქუჩები, რაც ბუნებრივია, დისკომფორტს ქმნის გადაადგილებისას. იმედი მაქვს, ჩვენი ქალაქის მოსახლეობა გაგებით ეკიდება ამ პრობლემას... სამუშაოების დასრულებისთანავე, ეტაპობრივად მოხდება ქუჩებზე ასფალტის საფარის აღდგენა და ეს პრობლემაც აღმოიფხვრება.

**— ცნობილია, რომ 2011 წლისათვის ქალაქ ბათუმის მერიის ბიუჯეტი იზრდება. კონკრეტულად რას მოხმარდება სახელმწიფო დანამატი?**

— ჩვენ ვაგრძელებთ აღებულ კურსს, რომელიც გრძელვადიან პროგნოზზეა გათვლილი და მიზნად ისახავს ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას, ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რაც, თავის მხრივ, თითოეული ბათუმელის კეთილდღეობაზეა გათვლილი. ჩვენი ქალაქის აღმშენებლობაში ხელისუფლების ძალისხმევისა და გაღებული საბიუჯეტო სახსრების ეფექტი უკვე იგრძნობა, რადგან ბათუმის მცხოვრებთათვის უმნიშვნელოვანესი არაერთი პრობლემა გადაიჭრა. ქალაქის აღმშენებლობა და კეთილმოწყობა კვლავაც იმავე ტემპით გაგრძელდება.

**— აქვე საინტერესოა მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2011 წლისათვის დაგეგმილი პროგრამებიც...**

— მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის პროგრამები ჩვენი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითაა შემუშავებული. შეღავათები ძირითადად სოციალურად დაუცველ ბათუმელებზეა გათვლილი. პროგრამებში ასევე გათვალისწინებულია სხვა სოციალური კატეგორიებიც: მრავალშვილიანი ოჯახები, უდედმამო ბავშვები, მარტოხელა დედები, პენსიონერები, ვეტერანები... არსებული პროგრამები მომავალშიც გაგრძელდება. დემოგრაფიული პრობლემებიდან გამომდინარე, მრავალშვილიანი დედების



წახალისების მიზნით, ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეზრდებათ დედებს ბათუმში რეგისტრირებულ ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე. დახმარება ასევე გაეზრდებათ უდედმამო ბავშვების ოჯახებს. დამატებით იქნება აგრეთვე სხვა შეღავათებიც.

**— თქვენი საახალწლო ტრადიციები... სად და როგორ ხვდებით ახალ წელს?**

— უკვე მერამდენე წელია, ტრადიციულად, ახალ წელს რიგითი ბათუმელების ოჯახებში



ვეგებები. მერიის სხვა თანამშრომლებთან ერთად, ვცდილობ ცოტათი მაინც ვასიამოვნო და საზეიმო განწყობა შევუქმნა მათ, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. გასული წლის მსგავსად, წელსაც ვაპირებთ ახალი წლის ღამეს მოვინახულოთ რამდენიმე სოციალურად დაუცველი ოჯახი და, შეძლებისდაგვარად, მათ ბავშვებს საახალწლო სურვილები ავუსრულოთ. ასევე ტრადიციად დამკვიდრდა ახალი წლის პირველ დღეს ბათუმის ბავშვთა სახლების აღსაზრდელების მონახულება, რასაც არც ამ წელს ვუღალატებთ.

**— როგორ მიულოცავდით დამდეგ შობა-ახალ წელს ჩვენი გაზეთის მკითხველს?**

***თქვენი გაზეთის მეშვეობით მივულოცავ დამდეგ ახალ წელს და შობის ბრწყინვალე დღესასწაულს ბათუმისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობას. 2011 წელი ყოფილიყოს მშვიდობის, გამთლიანების, წინსვლის, აღმშენებლობის, ახალი სასიკეთო წამოწყებების წელი ჩვენი ქვეყნისათვის. თითოეული ქართველის ოჯახში შეეტანოს ახალ წელს სითბო, სიყვარული, ხვავი და ბარაქა. მომავალი წელი ნაყოფიერი და წარმატებული ყოფილიყოს ყოველი ჩვენგანისთვის, რადგან თითოეული თანამოქალაქის წარმატება ხომ ჩვენი ქალაქის და სრულიად საქართველოს წარმატების საწინდარია. უფალი შეგვეწიოს ყველა კეთილ საქმეში.***



**ნესტან მამუჭაძე**

# “ვარდისფერ გზით” ნირვანასკენ
# სუიციდის პრობლემები ახალგაზრდებში

*23 დეკემბერს რუმინეთის პარლამენტის სხდომა, სადაც სიტყვით პრემიერ მინისტრი ემილ ბოკა გამოდიოდა დრამატულად განვითარდა. მოქალაქემ ათიათასობით ტელემაყურებლის თვალწინ თვითმკვლელობა პირდაპირ პარლამენტის სხდომათა დარბაზში სცადა. სუიციდის მცდელობის ფაქტმა საზოგადოება ამ პრობლემაზე კიდევ ერთხელ დააფიქრა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით დღეს მსოფლიო ახალი პანდემიის წინაშე დგას, რომელიც ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ნებისმიერი ვირუსი. სუიციდი მოზარდებში იმდენად „პოპულარული” გახდა, რომ ჩვენი თაობა, რომელსაც მრავალი გამოცდის წინ აყენებს ცხოვრება,„ხსნას” თვითმკვლელობაში ხედავს. მიმდინარე წელს ბოლო 2 თვის განმავლობაში დაფიქსირებულია 161 თვითმკვლელობის შემთხვევა, აქედან 25 16-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდები იყვნენ. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ყოველ 15 წუთში 1 ადამიანი იკლავს თავს და ეს რიცხვი კატასტროფულ მაჩვენებლებს აღწევს. ის, რასაც მსოფლიო 2020 წლისათვის ელოდება, ჩვენთან უკვე რეალობაა. ყოველი მეოთხე ქართველი დეპრესიითაა დაავადებული, რაც კიდევ უფრო ზრდის სუიციდის რისკ კატეგორიას. ამ პრობლემასთან დაკავშირებით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ინიციატივით გაიმართა დისკუსია. საზოგადოების მაღალი ინტერესის გამო წარმოგიდგენთ დისკუსიის მასალას.*



**ირაკლი აბაშიძე -**
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სუიციდი თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი პრობლემაა. სუიციდის ანუ თვითმკვლელობის ფაქტებს, რომლებიც ხდება სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ სოციალურ ნიადაგზე, ადგილი აქვს ჩვენს სინამდვილეში. იგი ყოველწლიურად მატულობს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა საქართველოშიც. გამომწვევი მიზეზებიდან ყველაზე ხშირია დეპრესია, აღელვება, იმედგაცრუება, სისტემატიური დამცირება, ფინანსური პრობლემები, ოჯახური კონფლიქტები, ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება, მძიმე სოციალური ფონი და ა.შ. ადამიანთა უმეტეს ნაწილს არ შესწევს უნარი სხვაგვარად დაძლიოს ფსიქოლოგიური თუ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო პრობლემები, სამწუხარო რეალობიდან გამომდინარე, გამოსავლის ძიებაში მყოფნი, მიმართავენ თვითმკვლელობას. ისინი ამ გადაწყვეტილებამდე შესაძლებელია მივიდნენ როგორც დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, ასევე ძლიერი სულიერი აღელვების დროს და მოქმედებენ მანამ, სანამ არ მიაღწევენ მათთვის სასურველ შედეგს. ხშირ შემთხვევაში ისინი საჭიროებენ ფსიქოლოგის დახმარებას, რათა ადვილად შეძლონ პრობლემების გადაწყვეტა და არ იგრძნონ თავი საზოგადოებისაგან გარიყულად, ანუ მოხდეს მათი რესოციალიზაცია და სრულფასოვნება საზოგადოებაში. ფსიქოლოგიური დახმარების თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიმაჩნია სპეციალური სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა.

აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა სტუდენტებშიც. მათი ყურადღება მიიპყრო საქართველოში ბოლო დროს გახშირებულმა თვითმკვლელობის ფაქტებმა და დაინტერესდნენ მისი გამომწვევი მიზეზებით. მე ნამდვილად მივესალმები სტუდენტების დაინტერესებას ამ პრობლემისადმი და ვფიქრობ, რომ მათი მხრიდან სისტემატიური შეხვედრები და თვითმკვლელობის გამომწვევ მიზეზებსა და გადაჭრის გზებზე მსჯელობა, თავისებურად ხელს შეუწყობს შემდგომში ამ პრობლემების თავიდან აცილებას.

მარიკა ვერულაშვილი, ნონა მონყობილი

**„ვარდისფერ გზით“ ნირვანასკენ ანუ სუიციდი.** ლეგენდის მიხედვით, როცა მზე ჩაესვენება, იგი საიქიოს გასანათებლად მიემართება. ამ დროს ზღვაზე ის ვარდისფერ კვალს ტოვებს, რომელიც ვარდისფერი გზის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს გზა თითქოს ჩამავალი, ანუ საიქიოსკენ მიმავალი მზისკენ მიდის. ეს არის ვარდისფერი გზა სიკვდილის ქვეყნიერების, საიქიოს, ანუ ნირვანასკენ. თვითმკვლელობა კი ამ გზაზე ნაადრევად დადგომაა..„როცა თვითმკვლელობაზე ვსაუბრობთ, ლოგიკურად გვებადება კითხვა თუ *რატომ არ იკლავს ადამიანი თავს?*

სპინოზამ თქვა: “ადამიანი და ყოველი ნივთი მიისწრაფვის თავისი არსებობის შენარჩუნებისკენ, და ეს დებულება მან აუცილებელ ჭეშმარიტებად აღიარა...,ცხოვრება სიცოცხლისთვის ხდება და არა სხვა რამისთვის, ამიტომ, ვერც ერთ მოვლენას ვერ მიჩვენებთ ადამიანის ცხოვრებაში, რომ იგი მის კეთილდღეობას ეწინააღმდეგებოდეს. ადამიანს შეგნებლად თუ შეუგნებლად მუდამ თვალწინ უდგას სიკვდილის იდეა და სწორედ ამ იდეისდაგვარად წარმართავს თავის ცხოვრებას.”

*“სიკვდილ-სიცოცხლე სწორედ ის ზღვარია, როცა ყველაზე ნათლად ჩანს ადამიანის ყოფის აფსურდულობა და ცხოვრების ვითომდა უმაღლესი იდეალების უბადრუკობა”.*

*“ნამდვილი მხოლოდ მკვდარია” – აცხადებს სარტრი – “ვინაიდან სწორედ ე სარის განხორციელებული შესაძლებლობა, ხოლო განვლილი ცხოვრების ეპითეტად ხშირად იყებებს “თავმოკრული ტომრის” შედარებას. წარსულს ვერაფერს მოუხერხებ, ის უძრავია, თუმც შენს ხელშია მომავალი და ეს იძლევა იმ ოპტიმიზმის საფუძველს, რითაც ასეა გაჟღენთილი სარტრის შემოქმედება.”*

თვითმკვლელისთვის სააქაო კარგავს აზრს, იგი შორდება ღმერთს და ემართება “უიმედობის სენი” ანუ სასოწარკვეთილება. *თვითმკვლელობა სასოწარკვეთილების, სულიერი სამყაროს სიცარიელის, სიმარტოვის* და *ილუზიის* შედეგია. ადამიანი, რომელიც თვითმკვლელობაზე ფიქრობს შეიძლება ფიზიკურად ცოცხალი იყოს, მაგრამ მისი აზროვნება, შინაგანი “მე” სრუალიად გამოფიტულია. ამიტომ იგი იღებს თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას. რეალურად კი მან უკვე მაშინ მოიკლა თავი, როცა იმედი დაკარგა.

*რა არის თვითმკვლელობა, სიმხდალე თუ სიმამაცე?*

სიკვდილი არის ის გაუგებარი და ამიტომ ადამიანისთვის საშიში “მონსტრი”, რომელსაც ყველა გაურბის, თვითმკვლელი კი თავისი ფეხით აკითხავს მას. არის თუ არა ეს სიმამაცე? მეორე მხრივ, ადამიანი ვერ უძლებს ამქვეყნიურ პრობლემებს, წინააღმდეგობებს და სიცოცხლის ხელოვნურად შეწყვეტა გამოსავლად მიაჩნია. არის თუ არა თვითმკვლელობა, როგორც მოვლენა, ნაადრევი ნაბიჯი თუ კარგად განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება? ადამიანი, რომელიც ექსპრომტად მიდის ამ დასკვნამდე, შესაძლოა ასე არ მოქცეულიყო კარგად რომ დაფიქრებულიყო, ხოლო მათი სულიერი მდგომარეობა, რომლებიც დიდი ხნის განსჯის შემდეგ იღებენ ამ გადაწყვეტილებას, სრულიად სხვაა... მათთვის, თითქოს აზრს კარგავს ყველაფერი ამქვეყნიური და იგი სრულიად განსხვავებულ სამყაროში იმყოფება, სადაც არავის შეუძლია შეღწევა.



რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, კამიუსთვის ცნობილნი არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მზად არიან მოიკლან თავი იდეისა თუ იმ ილუზიის გამო, მათი ცხოვრების საფუძველს რომ წარმოადგენს, ანუ როცა ადამიანი ხვდება, რომ ყველაფერი მისი შექმნილი ილუზიაა, როცა მას ჰგონია, რომ ვერასდროს ვერ მიაღწევს იქამდე, საითკენაც თავისდაუნებურად ყოველთვის მიისწრაფვოდა, ანუ ღმერთამდე, ცხოვრება აზრს კარგავს.

გაუცხოება ერთ-ერთი მიზეზია თვითმკვლელობისა, ანუ ინდივიდი საზოგადოების წინაშე. როცა ადამიანი ხვდება, რომ მისი მსგავსი მის ირგვლივ არავინაა, მის იდეოლოგიას არავინ იზიარებს და რჩება სრულიად მარტო, ანუ გარიყული, ჩნდება შიში ამქვეყნიურობისა და სიმარტოვისა, რაც უბიძგებს მას თვითმკვლელობისკენ. თვითმკვლელობა სახეშეცვლილი და დაქვეითებული ფორმაა ცხოვრების. თვითმკვლელობა რეალურად არ გამოდის სიკვდილზე ფიქრი, რადგან სიკვდილზე დაფიქრებული ადამიანი მუდამ მას გაურბის და ცხოვრების წესს ისე წარმართავს, რომ რაც შეიძლება შორს აღმოჩნდეს მისგან. მაშინ, რა არის თვითმკვლელობა თუ არა ფიქრი სიკვდილზე? ალბათ, ეს არის ფიქრი “ხსნაზე” და “თავისუფლებაზე”, თუმცაღა არასწორი დასკვნებით.



ვინ არის თვითმკვლელი? - ითვლება თუ არა თვითმკვლელად ყველა ის ადამიანი, რომელიც გაცნობიერებულად აყენებს საკუთარ თავს ზიანს? თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ ყველა გმირი რომელმაც თავი შეგნებულად გასწირა კაცობრიობისთვის, ამ ჩარჩოებს ერგება, მაგრამ რა თქმა უნდა, თვითმკვლელად ვერ ჩავთვლით მას, ვინც თავი არა პირად, არამედ მაღალსაკაცობრიო იდეალებს შესწირა. თვითმკვლელი არის ადამიანი, რომელიც დროსა და სივრცეშია დაკარგული და პირად სისუსტეებს ეწირება. აქედან გამომდინარე, დიდი ზღვარია თვითმკვლელებსა და გმირებს შორის, რომლებიც უგულებელყოფენ საკუთარ “მე”-ს და თავს წირავენ “სხვებისთვის”. თუმცა, იმდენად უცხო, გაუგებარი და ჩვენთვის მიუწვდომელია თვითმკვლელის მენტალური სამყარო, რომ თვითმკვლელობის მარტივ განმარტებას თავს ვარიდებთ, რის გამოც იგი დღემდე ამოუცნობ ფენომენად რჩება.

სალომე მახაჭაძე
ლენა ქამადაძე

## ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოში ყოველ 40 წამში, ერთი ადამიანი ასრულებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით

სუიციდი ფართოდ გავრცელებული აქტია მთელ მსოფლიოში, რომელსაც ახორციელებს ადამიანი ფსიქიკური დაავადების ზეგავლენით ძლიერი სულიერი აშლილობისას. ესაა სიცოცხლის



აღკვეთის გაცნობიერებული აქტი, მწვავე ფსიქოტრამვირებადი სიტუაციების ზეგავლენით, რომლის დროსაც ადამიანისათვის საკუთარი სიცოცხლე, როგორც უმაღლესი ფასეულობა, კარგავს მნიშვნელობას.

სუიციდოლოგია, როგორც ცალკე მიმდინარეობა ჩამოყალიბდა სულ რაღაც 40 წელია, ეს ფაქტი თავისთავად ცხადყოფს რომ სუიციდური მოვლენები მომრავლდა და პრობლემად იქცა, ამის საფუძველი კი გახლავთ არსებული შეუსაბამობა ჩვენს სურვილებსა და შესაძლებლობებს შორის, დღევანდელ სიტუაციაში ადამიანი ვერ ახდენს საკუთარი უნარების რეალიზებას, მას ეუფლება იმედგაცრუება, სასოწარკვეთილება, უუნარობის შეგრძნება და დაუკმაყოფილებლობა, შინაგანი შებოჭილობა კი მუდმივი წყაროა დეპრესიისა, რომელიც თანდათანობით ღრმავდება და მისი ფინალური სტადიაა სუიციდი.

თვითმკვლელობით სიცოცხლეს მამაკაცები 4-ჯერ უფრო მეტად ასრულებენ, ვიდრე ქალები, ხშირად ქალები მეტად არიან მიდრეკილი სუიციდისადმი და უფრო ხშირად მიმართავენ მედიკამენტებით მოწამვლას, რაც საგრძნობლად ზრდის გადარჩენის ალბათობას ე.წ. დაუმთავრებელი სუიციდი. მამაკაცები სუიციდისათვის მიმართავენ უფრო საიმედო ხერხს (ჩამოხრჩობა, ცეცხლსასროლი იარაღი) ე.წ. დამთავრებული სუიციდი. თვითმკვლელობისაკენ აკვიატებული ლტოლვა პიროვნულად ანადგურებს ადამიანს საზოგადოებას კი თავზარს სცემს, ამ ტრაგიკული სენის აცილების უპირველეს და აუცილებელ პირობად საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის გაჯანსაღება მიიჩნევა. სუიციდი დეპრესიის გარეშე არ არსებობს, დეპრესია კი იმითაა გამოწვეული, რომ დღეს თანამედროვე ადამიანი არსებულ რეალობაში დასაყრდენს და გამოსავალს ვერ პოულობს. უდარდელ და არხეინ ადამიანებს ეს დაავადება არ ემუქრება. დეპრესია იმათ ემართებათ, ვისაც აწუხებს იდეები, თავისი ქვეყნისა და ერის ბედი. ამ დაავადებას ინტელექტუალთა დაავადებასაც ეძახიან, რადგან დეპრესია მათ ემართებათ, ვისაც მაღალი ინტელექტი აქვთ. დროის მიხედვით თვითმკვლელობების 32% დღის პირველ ნახევარში ხდება, 44%-დღის მეორე ნახევარში, 24%- კი თვითმკვლელობას ღამე მიმართავს.



**შორენა ვაშაძე -**
ასოცირებული პროფესორი

სუიციდი, როგორც პრობლემა მნიშვნელოვანია მოზარდთა ასაკისათვის, რადგან ბოლო წლებში იმატა თინეიჯერთა თვითმკვლელობის რიცხვმა, რაც დაკავშირებულია პიროვნების გარადამავალ ასაკთან, როცა მან უნდა განსაზღვროს საკუთარი მომავალი, მოზარდი აწყდება ბევრ წინააღმდეგობას და გამოუცდელობის გამო ადვილად ჰყრის ფარ-ხმალს და როცა სხვა გამოსავალს ვეღარ პოულობს, თვითმკვლელობით ცდილობს პრობლემების მოგვარებას.

თავიდან რომ ავიცილოთ აღნიშნული სენი, საჭიროა პოლიტიკური და სოციალური გარემოს გაჯანსაღება, მედიის მიერ პრობლემის ობიექტური გაშუქება, სულიერი რელიგიური ცხოვრება, სახელმწიფოს მიერ ძირითადი კონსტიტუციური უფლებების ანაზღაურებადი შრომის უფლებების უზრუნველყოფა, პრობლების გადაწყვეტისას მოყვასისი თანადგომა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა. ყოველივე ამის ერთობილობით და აუცილებლობის შემთხვევაში მედიკამენტოზური დახმარებით თავს დავაღწევთ ადამიანებში სულიერების მსხვრევის ფატალურ შედეგებს.

მკურნალობის ყველაზე მნიშვნელოვანი გზა არის დაავადებულის პატივისცემა და თანადგომა, მოეპყარით სიყვარულითა და გაგებით.

დღეს, ტრადიციული, რელიგიური და ოჯახური ფასეულობების რღვევა კარგ ნიადაგს ქმნის ადამიანებსა და, ზოგადად, საზოგადოებაში ახალი კონფლიქტებისა და შფოთვის აღმოცენებისათვის. შიშის მიზეზად შესაძლებელია გავიაზროთ ის საზოგადოებრივი ძვრები, იდეოლოგიურ თუ სოციალური ტრადიციების რღვევა, რაც უკიდურესად ამძიმებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შეგუებას სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებისადმი.

მრავალი ქვეყნის მედიკოსთა, ფსიქოლოგთა, სოციოლოგთა, იურისტთა, პედაგოგთა ყურადღება მიპყრობილია პიროვნებისადმი. მეცნიერთა აზრით, პიროვნების ხასიათის ნეგატიურ მახასიათებლებს საფუძვლად უდევს ფსიქიკური ტრავმა, გარემოს უარყოფითი გავლენა, ოჯახური აღზრდის შეცდომები. დროული მკურნალობით, სამედიცინო-პედაგოგიური და ფსიქოთერაპიული ჩარევით მოზარდებს უმაგრდებათ ნერვული სისტემა, ნებისყოფა, უმუშავდებათ სიძნელეების გადალახვის ფსიქიკური მექანიზმი.

დღევანდელი ცხოვრების რითმი, ინფორმაციის სიჭარბე, დროის დეფიციტი, ეკონომიური და პიროვნული პრობლემები, ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლასთან ერთად განაპირობებენ იმ ფსიქო-ემოციურ მდგომარეობებს, რომელთაც, არც თუ იშვიათად, სერიოზულ დარღვევებამდე მივყავართ. ნევროზული მდგომარეობა ამძიმებს ძირითადი დაავადების მიმდინარეობის კლინკურ სიმპტომებს, რის გამოც, იზრდება პაციენტთა მიმართვიანობა სამედიცინო დაწესებულებებში. თანმხლები დეპრესია 4 – 6 - ჯერ ზრდის გართულებების, დეკომპენსაციებისა და ლეტალური გამოსავლის რისკს, ამიტომ აუცილებელია ნევროზული მდგომარეობების ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

სუიციდის რაოდენობით საქართველოს პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ბოლო ადგილი ეკავა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სუიციდის რაოდენობა მკვეთრად მოიმატებს 2020 წლისათვის. სიკვდილიანობის მონაცემების მიხედვით, ზოგ ასაკობრივ ჯგუფში სუიციდი პირველ ადგილზეა. სტატისტიკა ამ მხრივ საგანგაშოა საქართველოში, კერძოდ აჭარაში. მაღალი რისკის ჯგუფებში სხვებთან ერთად არიან ახალგაზრდებიც, სტუდენტებიც.

საქართველოში სუიციდოლოგიური სამსახური არ არსებობს. შესაბამისად არ წარმოებს კვლევა, რომელიც სუიციდოლოგიურ სტატისტიკურ მონაცემებს დაამუშავებს, პრევენციულ ღონისძიებებს დაგეგმავს, პარასუიციდენტებთან სამუშაოს განსაზღვრავს.

ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება დიდად შეუწყობს ხელს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას, რაც სახელმწიფო პოლიტიკის გერეშე წარმოუდგენელია.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში დეპრესიის ხარისხის დასადგენად პროექტის“ სუიციდი ახალგაზრდებში” ფარგლებში ჩატარდა კვლევა. გამოკითხული იქნა შემთხვევით შერჩეულ 40 სტუდენტი, გამოყენებული იქნა ჩ -ის დეპრესიის შკალა, ეს არის დეპრესიის ხარისხის განმსაზღვრელი ყველაზე მარტივი და მოსახერხებელი მეთოდი, რომელიც შედგება 21 ტესტ-კითხვარისგან და თითოეულ მათგანს აქვს სამი სავარაუდო პასუხი. გამოკითხულ სტუდენტთა საშუალო ასაკი იყო 19 წელი, აქედან დეპრესიის ზღვარს, რომელიც ნორმაში 7-9 ტოლია, გადასცდა 28, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. აღნიშნული მონაცემებით ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯელოთ დეპრესიის ხარისხზე მთლიანად უნივერსიტეტის სტუდენტებში, მაგრამ აშკარად დროა ვიფიქროთ სულიერი საზრდოს ძიებაზე, რომელიც გვიხსნის ამ პრობლემისაგან.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი
Student's Scientific Center

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის მიერ პროექტის „სუიციდი ახალგაზრდებში” ფარგლებში. წარმოდგენილი მასალებისა და ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ჩანართის რედაქტორი: თამაზ დარჩიძე
ტექნიკური რედაქტორი: თეონა აბულაძე

პროექტის კოორდინატორი: მარიკა მორთულაძე

პროექტის მხარდამჭერია
სტუდენტური თვითმმართველობა

6010 ქ. ბათუმი ნინოშვილის 35. აუდ. 313. Tel: (893) 545110/ (877) 179766; E-mail: center@bsu.ge

იური ბიბილეიშვილი

# ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატები

ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია 1995 წელს დაარსა საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის სამხედრო ორგანიზაციამ.

**ნიკო ნიკოლაძის პრემიის პირველი ლაურეატი გახდა ცნობილი ქართველი პოეტი და ესეისტი შოთა ზოიძე.** მას შემდეგ კონკურსი ნიკო ნიკოლაძის პრემიის მოსაპოვებლად ყოველ ორ წელიწადში იმართებოდა და დღემდე ამ პრემიის ლაურეატები გახდნენ პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მწერალი ელგუჯა თავბერიძე,მუსიკოსი თემურ ჭკუასელი, კინომცოდნე გოგი დოლიძე,ისტორიკოსი თემურ კომახიძე,მწერალი თემურ ამყოლაძე, პროფესორი ლევან სვანაძე. პოეტი და პროზაიკოსი თეიმურაზ ლანჩავა.

**შოთა ზოიძე** (1942წ) დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ



ახალ დაბაში, საშუალო განათლების მიღების შემდეგ დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ სწავლობდა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. 1997 წელს დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერების კანდიდატის,ხოლო 1999 წელს მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერების დოქტორის ხარისხი. სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობის რედაქტორად, გაზეთ, "აჭარის" განყოფილების გამგედ, აჭარის ტელერადიო დეპარტამენტის დირექტორად,მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავჯდომარედ, აჭარის უზენაესი საბჭოს თავჯდომარის მოადგილედ.

1998 წლიდან ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში

1997 წელს წიგნისათვის "უსანქციო სონეტები" მიენიჭა **საქართველო სახელმწიფო პრემია.** მინიჭებული აქვს აგრეთვე **მემედ აბაშიძის და გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიები.**

შოთა ზოიძე **ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია მიენიჭა** ესეისტური წიგნისათვის "ჯვარცმული ფიქრი ." (ბათუმი, 1995წ). მასში გამოქვეყნებულია 30 ესე სხვასხვა თემაზე, სხვადასხვა მწერალზე ეს წერილები სხვადსხვა დროს ქვეყნდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე.

ესე ორიგინალური სახეა პუბლიცისტიკის. მწერალი თავისუფლად გადმოსცემს საკუთარ დამოკიდებულებებს წყაროებსა და დოკუმენტებზე პირდაპირი მითითებების გარეშე. ამიტომ ამ სახის თხზულებაში მეტი შესაძლებლობები აქვს ავტორს მისთვის და საზოგადოიებისათვის მიუღებელი მოვლენების **მხილებისა და განსჯისათვის**. შოთა ზოიძის ესეებში სწორედ ალესილი მახვილი მოგვწონს. მაგალითად, ესეში "ფაუსტური ვნებათა ღელვა" შოთა ზოიძე ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედთან დაკავშირებით წერს: "ყველაფერ ამას (გარდაცვალებას, დაკრძალვას, გადმოსვენებას) ერთი საუკუნის შემდეგ თითქმის ყველანი,დიდიც და პატარაც, გულისტკივილით ვიგონებთ, ზოგჯერ ბრალსაც კი ვდებთ პოეტის თანამედროვეებს, იმდროინდელ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, ახლობლებსა და ნათესავებს, ბრალს ვდებთ მაშინდელ სოციალურ ვითარებას და XX საუკუნის ამბონიდან ვასამართლებთ XIX საუკუნის მეორე ნახევარს. შეიძლება ამაში ნაწილობრივ მართალიც ვიყოთ. მაგრამ, - ავტორი ახლა ჩვენი თანამედროვეების მისამართით აკეთებს განცხადებას,- რა ვუყოთ მეორე, ყველა ქართველისათვის უფრო მსუსხავ და გულდასაწყვეტ ფაქტს – გენიალურ ნიკო ფიროსმანის დაკარგულ საფლავს? იგი ხომ ჩვენს საუკუნეში,ჩვენს დღეებში გარდაიცვალა, უფრო სწორი ვიქნებით, თუ ვიტყვით, დაიღუპა."
ამ სტილით დაწერილი ყოველი სიტყვა უკვე საქმეა. ამიტომ შოთა ზოიძეს ყოველთვის ჰყავს მკითხველი.

უცილებლ მიგვაჩნია შოთა ზოიძის ესეების კიდევ ერთ თავისებურებაზე მინიშნება. ესაა ავტორის ლიტერატურული ერუდიცია და უაღრესად ფართო თვალსაწიერი. იგივე "ფაუსტური ვნებათა ღელვის" დასაწყისი ამის საუკეთესო დადასტურებაა: "ნიკოლოზ ბარათაშვილი უცნაურ გარემოში გარდაიცვალა. თავისი გენიალობა სიკვდილითაც დაგვიდასტურა. სიკვდილითაც გაიმეორა დიდი ადამიანების ბიოგრაფია, რაც მეტწილად მოულოდნელობითა და უცნაური აღსრულებით მთავრდება. მართალია, ლორდ ბაირონივით მისოლუნგში, ბერძენთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში არ დაღუპულა,მაგრამ განჯაში უჩინარ ყაჩაღებთან დევნამ შეიწირა. შანდორ პეტეფი ცოცხალი დამარხეს, ცოცხალი ვარ, მიწას ნუ დამაყრით, წამოიძახა, მაგრამ გამგონე არავინ იყო. ღრმად მოხუცი ლევ ტოლსტოი სახლიდან გაიქცა და მივარდნილ სადგურ ასტაპოვოში შეეგება სიკვდილს. თვრამეტი წლის ჩატერტონმა თავისი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე. ნიკოლოზ ბარათაშვილი ოცდაშვიდი წლის იყო."

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი** (1948წ) დაიბადა ვანის რაიონის სოფელ გორაში. 1966 წ. ოქროს მედალზე დაასრულა სკოლა. 1971 წ. წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1983 წ. სადოქტორო დისერტაცია ფილოლოგიაში.

**1998 წელს მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია.**

პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილი უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარია ქართული ლიტერატურეს ისტორიის და კრიტიკის დარგში. ნაყოფიერად მოღვაწეობს პუბლიცისტიკის დარგში. მის წიგნებში "გამოძახილი", "თვალთახედვა", "ლიტერატურული ეტიუდები", "ნაკადები", "ფიქრები თანამედროვე ქართულ ლირიკაზე" და სხვა გაანალიზებულია თანამედროვე ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი ტენდენციები და შემოქმედებითი სიახლენი.

მიუხედავად სალიტერატურო კრიტიკით ესოდენი დაინტერესებისა, პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილის სამეცნიერო და შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად მაინც იმ მონოგრაფიებსა და ლიტერატურულ ნარკვევებში აისახა, რომლებშიც XX საუკუნის ქართული მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა შემოქმედებაა გაანალიზებული. 1994-2006 წლებში გამოქვეყნდა მისი "მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევების" შვიდი ტომი და მონოგრაფიები "მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა," "პაოლო იაშვილი," "ტიციან ტაბიძე","ნიკო ლორთქიფანიძე," "გიორგი ლეონიძის ლირიკა". და სხვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ქართული ემიგრანტული ლიტერატურის დარგში გამოკვლევები "ქართული ემიგრანტული მწერლობა" და "ქართველოლოგიური ეტიუდები."

**ელგუჯა თავბერიძე** (1960წ) დაიბადა ზესტაფონის რაიონის



ქვედა საზანოში. 1977 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1983 წელს – ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

წლების მანძილზე მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში, იყო რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის თავჯდომარის მოადგილე, გაზეთ "მოწამეთას" მთავარაი რედაქტორი,გამომცემლობა "სარანგის" ხელმძღვანელი ქუთაისში.

1994 წელს დაინიშნა ქუთაისის გ. ტაბიძის სახელობის №5 სტამბის საგამომცემლო ცენტრის დირექტორად. 2007 წლიდან ქუთაისის შ.პ.ს. "ხომლი-ენ"-ის დირექტორია. ამოცემული აქვს ცხრა წიგნი,მათ შორის სამი ბიოგრაფიული რომანი. არის **ილია ჭავჭავაძის, გიორგი შერვაშიძის, მემედ აბაშიძის,საქართველოს მწერალთა კავშირის, ჟურნალების "ომეგასა" და "ოლეს" პრემიების ლაურეატი.**

2000 წელს მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია.

ელგუჯა თავბერიძე ღირსეული წარმომადგენელია XX საუკუნის ბოლოს თავისუფალი პუბლიცისტიკის ასპარეზზე გამოსული თაობისა. ესაა თაობა, რომლის ცნობიერება ყალიბდებოდა საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობის ხანაში, მაგრამ არ ემორჩილებოდა გაბატონებულ იდეოლოგიას. თავისუფალი აზროვნების სტილით არის დაწერილი ესე "ორი შედევრი". ელგუჯა თავბერიძე მაქსიმალურად იყენებს პუბლიცისტიკის სახეობათა შორის ესეს თავისუფალი აზროვნების შესაძლებლობებს.

ტიპური ესეისტური მანერითაა დაწერილი შედარება გიორგი ლეონიძის "ოლე"-სა და ვაჟა-ფშაველას "ხმელ წიფელს" შორის. ავტორი წერა: "ოლე" და "ხმელი წიფელი" – ორი ტკივილიანი განცდაა ყოფიერებისა. ერთი იშვიათი პოეტური ენერგიით ამოხეთქილი, მეორე – პროზა, თუმცა მე ორივე ლექსი მგონია, ბედთან ჭიდილით, არყოფნის ზღვართან მოკიანთე ფიქრით გაჟღენთილი."

ელგუჯა თავბერიძის ლიტერატურული შემოქმედება საზოგადოებრივი აზროვნების საუკეთესო ტრადიციების გაგრძელებაა. მას ყოველთვის ეყოლება მკითხველი.

**თემურ ჭკუასელი** (1954წ). მრავალმხრივი ინტერესების



მოღვაწეა,მრავალმხრივ განვითარებული. შემთხვევითი არ არის, რომ იგი სხვადასხვა დროს ამ სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლობდა. უმაღლესი განათლება მიიღო ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის, ფიზიკისა და ფილოლოგიის დარგებში. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქციის რედაქტორად,განყოფილების გამგედ, მთავარ რედაქტორად. წლების მანძილზე იყო საკავშირო ფირმა "მელოდიის" ამიერკავკასიის განყოფილების სამხატვრო საბჭოს წევრი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი.

თემურ ჭკუასელი დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით (1996). **მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემია** (1999წ).

**2000 წელს მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია.**

ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში "ეველინა" თემურ ჭკუასელი კრიტიკული თვალსაზრისით ასახავს დღევანდელი საქართველოს ტკბილ-მწარე ბედს. "ისეთი შეგრძნება მაქვს, - ამბობს მოთხრობის ქართველი პერსონაჟი, - თითქოს სამშობლო ავად არის და მიკვდება. ჩვენ კი მშვიდად ვუყურებთ. საშინელებაა, როცა მთელი ქვეყანა გულგრილობის წყალში იხრჩობა. არა და არ დაადგა საშველი ათეულობით გაზარმაცებული წლებისაგან დაომებულ ჩვენს ფსიქოლოგიას. დროში ჩავიყინეთ თითქოს... ძველ ლათინებს ჰქონდათ ასეთი გამოთქმა – "დრონი იცვლებიან და მათთან ერთად ვიცვლებით ჩვენც." ხომ კარგად არის ნათქვამი, მაგრამ ეტყობა, ჩვენ სხვა თარგზე ვართ მოჭრილები – დრო, მართლა, შეიცვალა, ჩვენს აზროვნებას კი არ დაადგა საშველი. იცი,რა პრინციპით ვცხოვრობთ? კიდევ ერთხელ დავესესხებები ლათინებს – "ვხედავ და ვიწონებ უკეთესს, მაგრამ მივყვები უარესს " ამასაც ამბობდნენ ისინი და ამ გამოთქმას კი ნაღდად მოვერგეთ ქართველები. ვისაც ქვეყნის მოვლა ევალება, ერთი მოუსმინე, ყველამ ბრწყინვალედ იცის ქვეყნის გამოჯანმრთელებისათვის რა არის საჭირო, მაგრამ სამკურნალოდ ვერავინ იცლის. ცხოვრებას ხრავენ.

**გოგი დოლიძე** (1934) დაიბადა ქუთაისში. დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური და ფრანგული ენების ფაკულტეტი. იყო ინტურისტის თარჯიმანი, საქართველოს ჟურნალისტიკის კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, ჟურნალ "საბჭოთა ხელოვნებისა" და გამომცემლობა – "საბჭოთა საქართველოს" და "ხელოვნების " რედაქტორი.

გადაიღო დოკუმენტური ფილმები ოტია იოსელინზე, ზურაბ ლეჟავაზე. 2005 წელს ჩამოაყალიბა და ხელმძღვალობს ქქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა დასს.

გოგი დოლიძემ დაარსა და რედაქტორობს ჟურნალ "რაინდ" და გაზეთ "საქართველოს კარიბჭეს". მისი ბიოგრაფია შესულია ცნობარში "ვინ ვინაა საქართველოში" (2006წ).

**2003 წელს გოგი დოლიძეს მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია.**

2002 წელს გამოქვეყნებული გოგი დოლიძის მონოგრაფია "ფილმი, ეპოქა, ადამიანი" კარგად გვიხასიათებს მისი ავტორის



საზოგადოებრივი და პროფესიული ინტერესების სამყაროს. XX საუკუნის 60-70 იან წლებში ჩამოყალიბდა "შესანიშნავი სამეული" კინორეჟისორ რეზო ჩხეიძის, დოც: გ. ხარატაშვილისა და გოგი დოლიძის შემადგენლობით. მათი ძალისხმევით გაიმართა დისკუსია ქართული კინოს ისტორიის კვლევის საკითხები,რომელმაც შემდეგ საკავშირო ხასიათი შეიძინა. ქართველი სამეული უტევდა საბჭოთა კინოს ისტორიაში დამკვიდრებულ სტერეოტიპს და კინოს ახალი ისტორიის ფუძემდებლად ა. ბეკ-ნაზაროვისა და ი. პერესტიანის ნაცვლად ასახელებდა ვასილ ამაშუკელსა და ალექსანდრე წუწუნავას. "სამეულის" სახელით გამოქვეყნებულ სადისკუსიო წერილში კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე წერდა: "მტკიცედ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კინომატოგრაფიაში ვასილ ამაშუკელი გვევლინება იმ მოწინავე რაზმის მებრძოლად, რომელიც სახალხო-ეროვნული დროშით გაერთიანებული ეწეოდა ბრძოლას რეალისტურ-დემოკრატიული ხელოვნებისათვის."

გოგი დოლიძე სიცოცხლის რისკის ზღვარზე იბრძოდა კინემატოგრაფისტთა საკავშირო პლენუმზე,და ცხადყო,რომ მთელ

გაგრძელება 8 გვ.



მინდა მოვულოცო დამდეგი შობა ახალი წელი უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს, პროფესორ-მასწავლებელსა და სტუდენტს, ვუსურვებ ჯამრთელობას, სიკეთეს, სიხარულსა და ბედნიერებას, წარმატებით განეგრძოთ ტრადიცია და აღეზარდოთ მომავალი მეცნიერების საფუძვლებს დაუფლებული თაობები. 2011 წელი კიდევ უფრო წარმატებული ყოფილიყოს ყველა ჩვენთაგანისათვის. განსაკუთრებით სტუდენტებს ვუსურვებ წარმატებით სწავლასა და შრომას, უფრო მეტ აქტიურობას, ჩვენ კი ყოველნაირად დავეხმარებით და შევუწყობთ ხელს მათი ცოდნისა და შესაძებლობების რეალიზებაში, რათა თავისი სპეციალობის პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. 2011 წელი კიდევ უფრო წარმატებული ყოფილიყოს საქართველოსა და ყოველი ჩვენთაგანისათვის- მშვიდობის, სიძლიერის, სიმტკიცის, სტაბილურობისა და სიძლიერის მომტანი ყოფილიყოს.



**დ.ლეკვეიშვილი**
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა და სრულიად საქართველოს ვულოცავ დამდეგ ახალ 2011 წელსა და შობას.

ვუსურვებ იღბლიანობას, გამართლებასა და გამარჯვებას. 2011 ყოფილიყოს მშვიდობის, ბარაქისა და წინსვლის წელიწადი.



გ ი ლ ო ც ა ვ თ

ასოცირებული პროფესორი
**ომარ ფარტენაძე**

შობა-ახალი წელი ახალი იმედებითა და განახლების მოლოდინით აღსავსე დღესასწაულია, ამიტომ ჩემს ქვეყანას მინდა ვუსურვო მშვიდობა, გაერთიანება, წინსვლა და აღმავლობა.

შოთა რუსთაველის საეხელმწიფო უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს, სტუდენტს, კურსდამთავრებულსა და აბიტურიენტს მინდა ვუსურვო, განსაკუთრებული წარმატებები, რომ ეს წელი იყოს მყარი საძირკვლის ჩაყრისა და ახალის მომტანი.



კოლეგებო და ახალგაზრდებო, სიკეთე და უსაზღვრო სიხარული მინდა დაგებედოთ, თითოეულის ოჯახში მინდა, რომ დაივანოს სიმშვიდემ, ბედნიერებამ, სიუხვემ, ჯანის სიმრთელემ, ღვთის წყალობამ. უფლის მფარველობა არასოდეს მოგკლებოდეთ.

**ლელა თურმანიძე**
რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ახალ წელს ვულოცავ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობას, გამორჩევით პირველკურსელებს – პირველ ახალ წელს სტუდენტის ამპლუაში, აკადემიურ პერსონალს – პროფესორებს, მოწვეულ სპეციალისტებს, ძველი და ახალი თაობის უნივერსიტეტელებს, ადმინისტრაციას, ახალ წელს ვულოცავ სრულიად საქართველოს, ქართველ ხალხს – საქართველოში და მის გარეთ.



ახალ წელს უნივერსიტეტსა და მის კოლექტივს ვუსურვებდი კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას უნივერსიტეტის იდეის გარშემო. ჩვენი გაგებით კი დარაზმვა არი:

სტუდენტისათვის – კარგი სწავლა;

პროფესორისათვის – კარგი სწავლება და კვლევები;

ადმინისტრაციისათვის – სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობისათვის კარგი პირობების შექმნა.

და ბოლოს, გასული წელი უნივერსიტეტისათვის საიუბილეო იყო, ახალი 2011 წლიდან კი უნდა დავიწყოთ მზადება მომავალი იუბილისათვის...

მრავალ წარმატებას ვუსურვებ ჩვენს უნივერსიტეტსა და მის კოლექტივს.

**მამია ფაღავა**

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს - მის რექტორატს და ადმინისტრაციულ პერსონალს, ყველა ლექტორ-მასწავლებელსა და სტუდენტს, სრულიად საქართველოს. 2011 წელი ყოფილიყოს უსაყვარლესი და დიდი ტრადიციების მქონე ჩვენი უნივერსიტეტისათვის გამარჯვების, წინსვლისა და წარმატებების, საინტერესო და ახალი მიღწევების, ქვეყნისა და ერის გამთლიანების და ერთ მუშტად შეკვრის წელი.



ასოცირებული პროფესორი **ომარ მახარაძე.**

ძვირფასო სტუდენტებო, პროფესორ–მასწავლებლებო, კოლეგებო, გვინდა მოგილოცოთ ახალი 2011 წელი. დაესწარით მრავალს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობას, უფლის წყალობასა და მფარველობას. წარმატებები, სიხარული და ბედნიერება ყოფილიყოს თქვენი მუდმივი მეგზური როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ სარბიელზე. სიკეთე და სითბო არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს. 2011 წელი ყოფილიყოს თითეული ქართველისთვის სიმშვიდის, სიკეთის, ბედნიერების, ხვავისა და ბარაქის მომტანი. გუსურვებთ გაერთიათიანებულ, გამთლიანბულ და ბედნიერ საქართველოში გეცხოვროთ და გვენახოს თითოეული ქართველის ღიმილიანი, გაცისკროვნებული სახეები. ახალ წელს ახალი იმედებით, ხალისით, მხნეობით, შემართებითა და ახალი იდეებით ფრთაშესხმულნი შეხვედროდით, რაც თითოეული ჩვენთაგანის და ერის ნათელი მომავლის საწინდარია. ვიცხოვროთ სიყვარულით და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენ და სრულიად საქართველოს!!!

სტუდენტთა მომსახურებისა და
მხარდაჭერის სამსახურის უფროსი
**რევაზ ოკუჯავა**



საქართველოში დამკვიდრდა საზოგადოებრივი აზრი, რომ „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“. ვუსურვებდი ჩემს ამაგდარ უნივერსიტეტს, მის ხელმძღვანელობას, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებას, რომ მომავალი 2011 წელი ფეხბედნიერი ყოფილიყოს მათთვის და თითოეულის შემოქმედება პასუხობდეს წინამდებარე ლოზუნგს სწავლაში, აქ პედაგოგიურ და სამეცნიერო შემოქმედებაში.

ჩვენს ქვეყანას კი გამთლიანების თვალსაზრისით დიდი წარმატებები ქონოდეს მომავალი 2011 წლისათვის.

**ონისე სურმანიძე**

„ღმერთმა ბევრი გაგითენოს ახალი-წელიწადი!
ნუ მოგიშალოს თბილი ჰაერი, ცივი ღვინო და ცხელი მწვადი“.
**აკ. წერეთელი**

შოთა რუსთვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ბატონ ალიოშა ბაკურიძეს და პატივცემულ პროფესორ-მასწავლებლებს, ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და სულიერ სიმშვიდეს. ახალ წელს შეხვედროდეთ როგორც ახალ იმედს, დამდეგ შობას კი იმ დიდი განცდით და სიყვარულით, როგორც ღვთისმშობელი უფლის დაბადებას. 2011 წელი ყოფილიყოს საქართველოსათვის სიმშვიდის და გაბრწყინების ნათელი წელიწადი.



**გვანცა საბაშვილი**
ჟურნალისტიკის სპეციალობის პირველი კურსის მაგისტრანტი









ვულოცავ ახალი 2011 წლის დადგომას ჩვენი უნივერსიტეტისა და მთლიანად ქვეყნის ყველა გულშემატკივარს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, პროფესურას!..

ახალი წლის დადგომას ყოველთვის განსაკუთრებულად ამაღლებული გრძნობით და სასიკეთო სიახლეების მოლოდინით ვეგებებით. ვფიქრობ, ასეა უმრავლესობა.

ვისურვებდი ჩვენი სამშობლოს ერთგულ შვილთა კეთილდღეობას, ქვეყნის გაძლიერება-გამთლიანებას, ოჯახური სიმშვიდისა და მყუდროების დაურღვევლობას, იმ განწყობის შენარჩუნებას, რაც ამ სადღესასწაულო დღეებში გვეუფლება და წლის მანძილზე დაგროვებული სურვილებისა და ოცნებების ახდენას, მოლოდინების გამართლებას.

უფლის ნებით, ახალი წელი და შობის ბრწყინვალე დღესასწაული კიდევ მრავალგზის მიგველოცოს ერთმანეთისათვის!

**ირაკლი ბარამიძე**

რსუ–ს რექტორის მოადგილე

. . .



XXI საუკუნის მეორე ათეული დაიწყო. დამოუკიდებელი საქართველო 20 წლის ხდება. კარგი პირი უჩანს დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად უნდა გაუმჯობესდეს საქართველოში აღზრდისა და სწავლა-განათლების მთელი სისტემა. ამ სისტემის სრულულყოფა ხელისუფლების პრიორიტეტად ყალიბდება. ჩემი საახალწლო სურვილებიც ამ სფეროში ტრიალებს.

პირველი – ვნატრობ შოთა რუსთაველის სახელმწოფო უნივერსიტეტის პროფესურის შემადგენლობისა და სწავლების ტექნიკური პირობების ისეთ გაუმჯობესებას, რომ აჭარაში მომზადებული ყოველი აბიტურიენტი მაინც თავის მომავალ ბედს შრსუ-ს უკავშირებდეს და განაცხადში პირველ ადგილზე მას ასახელებდეს.

მეორე – შრსუ-ს პროფესორი სანიმუშო იყოს საქართველოში როგორც აკადემიური ხარისხით, ისე მატერიალურად უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ყველა ქალაქის პროფესორი შენატროდეს შრსუ-ს პროფესორის ბედს.

მესამე – სტუდენტი თავის განუყრელ მეგობრად წიგნს თვლიდეს. გადარჩენილ გროშებს აგროვებდეს და წიგნს ყიდულობდეს.

მეოთხე – შრსუ-ს მომზადებული სპეციალისტი წარმატებას აღწევდეს ყველა სხვა უმაღლეს სასწავლებელში მომზადებულ სპეციალისტებთან კონკურენციაში.

ყველას გილოცავთ ახალ წელს. ღმერთმა გიმრავლოთ მხნეობა და ხალისი სასიკეთო მოღვაწეობაში.

**იური ბიბილეიშვილი**

გ ი ლ ო ც ა ვ თ !



მობრძანდება ფერად-ფერადი ოცნებების ბურუსში გახვეული ახალი – 2011 – წელი...

მობრძანდება და გვჯერა, მოაქვს ულევი სიკეთე, სიხარული, სილამაზე, სიყვარული, იმედი...

მოაქვს ჩვენი უმშვენიერესი და უტკბესი სამშობლოსათვის მშვიდობა და ძლიერება...

მოაქვს ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის ჯანმრთელი და წარმატებული მომავალი...

მოაქვს სტუდენტი-ახალგაზრდობისათვის მზიანღიმილიანი ხვალინდელი დღე...

მინდა ახალი წლის მობრძანება დიდებული ქართველი პოეტის შოთა ნიშნიანიძის ლექსის სტრიქონებით მოგილოცოთ:

„ფუძის ანგელოზო, ჭერის ანგელოზო,
კალთა დაგელოცოს, ფრთები დაგელოცოს,
დიდი მყუდროება, დიდი იმედები,
ისევ გაიმეტე, როგორც იმეტებდი,
ხოლო მწუხარებას, შიშს თუ სნეულებას,
ჩვენთან ნუ ექნება ნურა წვეულება...
მზე, მზე ჩამობარდნე რძიან ბუტკოებად,
მზე შინა და გარეთ, მზე და მყუდროება!"

**შორენა მახაჭაძე**

სრული პროფესორი, რსუ-ს
რექტორის მოადგილე



ბათუმის უნივერსიტეტი უმოკლეს დროში იქცა დიდი ტრადიციების მქონე ეროვნულ-საგანმანათლებლო კერად და უდიდესი როლი შეასრულა უძველესი ქართული მხარის – აჭარის სულიერ, კულტურულ და სამეცნიერო წინსვლაში. სწორედ ამაზე ოცნებობდნენ ქართველი ერის ღირსეული შვილები, როცა იბრძოდნენ ბათუმში მეორე ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებისათვის.

დრო და წარსული ბათუმის უნივერსიტეტს უფრო დიდ ეროვნულ მისიას აკისრებს და მოთხოვნებს უყენებს. მას ძალუძს ამ მისიის შესრულება. ქართული სამეცნიერო საზოგადოების აღიარებით მისი სამეცნიერო და პედაგოგიური პოტენციალი საკმაოდ დიდია.

ახალი წელი უნივერსიტეტის ისტორიის კიდევ ერთ წარმატებულ წლად უნდა იქცეს. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ დიდ მიღწევებს პირად და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.

მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,
პროფესორი **ვლადიმერ ბალაძე**



სოლომონ ბრძენის სიტყვების პერიფრაზს გავაკეთებ და ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს ვუსურვებდი, რომ ღმერთმა მისცეთ ძალა შეცვალონ ის, რისი შეცვლაც შეუძლიათ, ღმერთმა მისცეთ ნებისყოფა შეეგუონ იმას, რისი შეცვლაც არ შეუძლიათ და ღმერთმა მისცეთ გონი ერთმანეთისაგან გაარჩიონ ის, რაც შესაცვლელია და ის, რასაც უნდა შეეგუონ.

სტუდენტ-ახალგაზრდობას ვუსურვებდი გულით უყვარდეთ, გულით უხაროდეთ, გულით სძულდეთ.

ხოლო ჩემს „სრულიად საქართველოს", ამ ტერმინის ქვეშ მოაზრებული შინაარსის შესაბამის ყოფნას ვუსურვებდი.

იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის
ასოც. პროფესორი:

**მურმან გორგოშაძე**

სულ მალე კარს შემოაღებს ახალი 2011 წელი. ახალი წელი ხომ ის ჯადოსნური დღესასწაულია, რომელიც აღსავსეა იმედებითა და მომავლის რწმენით. ეს ხომ ის დღესასწაულია, რომელსაც თითოეული ჩვენგანი სანუკვარი ოცნების ასრულებას შევთხოვთ. ამიტომაც მინდა ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს დღეგრძელება და წინსვლა ვუსურვო, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს კი ჯანის სიმრთელე და წარმატებები. მინდა გამარჯვებული და ძლიერი იყოს ჩემი ქვეყანა, ხოლო თითოეულ ოჯახში კი მშვიდობამ და კეთილდღეობამ დაისადგუროს. გილოცავთ ყველას, მრავალს დაესწარით!

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი
ასოც. პროფ.

**ლეილა ახვლედიანი**

დამდეგ ახალ, 2011 წელს ვულოცავ ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს, მის სტუდენტობას, პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებს და მთლიანად მთელს ჩვენს ქვეყანას.

ქვეყნისათვის გამთლიანებისა და წინსვლის, ხოლო უნივერსიტეტისათვის ჯანსაღი დამოკიდებულებისა და მისი წინსვლისა და გაძლიერებისათვის ბრძოლის გაგრძელების იყოს წელი ახალი!

**ბიჭიკო დიასამიძე**





საბჭოთა კავშირში მხოლოდ რევოლუციამდელ საქართველოში შეიქმნა რეალისტური კინო, რომლის ბადალი ნაწარმოები არც ერთ მოკავშირე რესპუბლიკას არ გააჩნდა.

**თეიმურაზ კომახიძე** (1937) დაიბადა ბათუმში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1974-1993 წლებში მუშაობდა ბათუმის ინდრუსტრიული ტექნიკუმის დირექტორად. სხვასხვა დროს მუშაობდა ბათუმის მერიაში, ჯერ პრეფექტის მოადგილედ, შემდეგ მერის მოვალეობის შემსრულებლად. 1994 წელს დაინიშნა ბათუმის მერად.



1996 წლიდან მუშაობდა აჭარის ა.რ. კულტურის მინისტრად.

1977 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მოიპოვა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1997 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

მინიჭებული აქვს ტბელ აბუსერიძის, აკად. ნიკო ბერძენიშვილის, იაკობ გოგებაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის, მემედ აბაშიძის, ფრიტიოფ ნანსენის პრემიები.

**2003 წელს მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის პრემია.**

თემურ კომახიძე ორი მეცნიერების – ტექნიკისა და ისტორიის – მიჯნაზე იკვლევს და სწავლობს აჭარის ისტორიას დედასაქართველოსთან მისი დაბრუნების შემდეგ. დღემდე გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი მონოგრაფია და 120-ზე მეტი მეცნიერული ნარკვევი და პუბლიცისტური წერილი. მისი კვლევის თემა, ძირითადად არის აჭარის განათლების, კულტურის, მეურნეობის, ქალაქმშენებლკობის, ხუროთმოძღვრების, თვითმმართველობის, აჭარის რაიონების ისტორია და ა.შ. წერს კვალიფიციურად, უხვად იყენებს საარქივო წყაროებს, ტექნიკურ დოკუმენტაციას და როგორც ინჟინერი და ისტორიკოსი წარსულის დამაჯერებელ სურათს სთავაზობს მკითხველს.

თემურ კომახიძეს ეკუთვნის „აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი", რომლის პირველი წიგნი გამოვიდა 2010 წელს და მკითხველი მალე მიიღებს, მეორე წიგნსაც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომის ავტორმა ავტორთა დიდი კოლექტივის სამუშაო ერთპიროვნულად იკისრა და წარმატებით მიიყვანა ბოლომდე.

**თემურ ამყოლაძე** (1975) დაიბადა ზესტაფონში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და 1978 წელს დაამთავრა ქართული ფილოლოგიის სპეციალობა.

თემურ ამყოლაძეს გამოცემული აქვს წიგნები: "დავიწყებული ამბავი" (19889, 1992 წ რომანი), "ყაჩაღი დვალიშვილები" (1995, რომანი ქრონიკა), "ოცი წლის წინათ( 2007, ლექსები), "ზღვარი"



(2008, ესეების, ნოველებისა და კრიტიკული წერილების ერთტომეული).

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც კარგად იკვეთება თემურ ამყოლაძის როგორც მრავალმხრივი ინტერესების შემოქმედებითი სახე.

**2006 წელს თემურ ამყოლაძეს მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია**. ტიპური ესეს ყველა ნიშანთვისებით ხასიათდება თემურ ამყოლაძის ესე **"ილია ჭავჭავაძის გაკვეთილები"**, რომელსაც სათაურს ქვეშ მიწერილი აქვს "იუბილეთათვის" და იგულისხმება, რომ ავტორი თავისი მკითხველის ყურადღებას ძირითადად, დიდ მოღვაწეთა იუბილეების აღნიშვნის მნიშვნელობაზე ამახვილებს. "როცა იუბილეს აღნიშვნაზე ვსაუბრობთ – წერს თემურ ამყოლაძე,- ვალის მოხდას, მისი სადღეგრძელოს თუ მოსაგონარ შესანდობრის შესმას, წარმოთქმას, ერთდღიანი, ვალის მოსახდელი საღამოს გამართვას კი არ ვგულისხმობთ, არამედ იმას, რომ უნდა ვუმეოროთ მრევლს – ვინ იყვნენ, რატომ იყვნენ დიდები და რატომ გვჭირდებიან კი არა, რატომ არიან აუცილებელნი, შეუცვლელნი დღევანდელი დღისათვის... და რაკი უკვდავნი არიან, იუბილეს აღნიშვნა მათ კი არ სჭირდებათ, ცოცხალ მოკვდავთაგან განსხვავებით, მანქურთიზმის სენით დაავადებულ ქვეყანას."

"ილია ჭავჭავაძის გაკვეთილები" დაწერილი მხილებისა და განსჯის სულისკვეთებით. ავტორი ხალხის გამოფხიზლების მიზნით წერს: "ილიას ცხოვრება სავსეა გაკვეთილებით, არც დასწავლაა ძნელი, ოღონდ დასწავლილის საქმედ ქცევა აღარ უნდა შთამომავლობას. სწორედ ესაა ქვეყნის უბედურების თავი და ბოლო. ადამიანი ძალიან იოლად ირწმუნებს დანაპირებს, ნაქადაგარს, - უამრავჯერ მოატყუეს, გააბითურეს, მაგრამ ჰგონია, ახლა ეუბნებიან მრთალს. დასწავლილი გაკვეთილი ავიწყდება. ფიქრობს, ის სიცრუე წარსულში დარჩა და აღარ განმეორდება, არადა სულ ტყუილად..."

განგაშის ზარის შემოკვრასავით აღიქმება "ილია ჭავჭავაძის გაკვეთილები." მისი ადრესატია საზოგადოება, სახელმწიფო, თითოეული განათლებული მამულიშვილი, ვისაც ხელეწიფება ხალხის სულიერი კულტურის საგანძურის მოვლა-პატრონობა.

**ლევან სვანაძე** (1928წ) დაიბადა ქუთაისში. ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. წარმატებით დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დიპლომატიური განყოფილება არაბისტიკის სპეციალობით. 1951 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1985 წელს – სადოქტორო. არის ქუთაისის აკაკი წერეთლის სრული პროფესორი და სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარე.

პროფ. ლევან სვანაძე ავტორია რამდენიმე მონოგრაფიისა: "ინგლისში ჰესის გაფრენის საიდუმლო" (ორ ტომად), "უინსტონ ჩერჩილი" (ოთხ ტომად), "დიდი ბრიტანეთი, კონსერვატორიები და ომისშემდგომი განვითარების პრობლემები 1945-1955 წლებში" (რუს. ენაზე), "უინსტონ ჩერჩილი და კონსერვატორები", "დე გოლი" (ორ ტომად), "ადოლფ ჰიტლერი" (ორ ტომად), "ლეველერთა მოძრაობა ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციაში." გამოსაცემად მზადდება "ბენიტო მუსოლინი".

2008 წელს ლევან სვანიძეს წიგნისათვის "შარლ დე გოლი – პოლიტიკური ბიოგრაფია" **მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის პრემია**.

პროფესორი ლევან სვანაძე ფართო დიაპაზონის მეცნიერია



ახალი და უახლესი ისტორიის დარგში. მას ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის დიდი ბრიტანეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან უახლესი ისტორიისათვის უნიკალური დოკუმენტების ჩამოტანაში, რომელიც მომავალში კიდევ მეტ სამსახურს გაუწევს ქართულ მეცნიერებას. პროფ. ლევან სვანიძის გამოკვლევები და მონოგრაფიები XX საუკუნის წამყვანი დიპლომატებისა და სახელმწიფო მეთაურების შესახებ ახალი სიტყვაა ქართულ მეცნიერებაში. ამ თვალსაზრისით პროფ. ლევან სვნაძეს, ფაქტიურად, წინამორბედი არ ჰყოლია საქართველოში.

**თეიმურაზ ლანჩავა** (1947წ) დაიბადა ქუთაისში. 1965 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო გიორგი მაი-



სურაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. 1971 წელს დაამთავრა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

თეიმურაზ ლანჩავა ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწეა. ისი თაოსნობით 1995 წელს ქუთაისში დაარსდა სახელობითი ლიტერატურული პრემია – პოეზიაში – ლადო ასათიანის, ტიციან ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის. პროზაში – დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ნოდარ დუმბაძის; პუბლიცისტიკაში – ნიკო ნიკოლაძის; ფერწერაში – დავით კაკაბიძის. არჩეულია ამ პრემიების მიმნიჭებელ მუდმივ მოქმედ კომისიის თავჯდომარედ.

ბატონი თეიმურაზ ლანჩავა თავადაც მრავალი პრემიის ლაურიატია, როგორც თვითონ წერს ავტოგრაფიაში "წინათქმა ცრემლის ყვავილებით" პირველი პრემია ბათუმში მიენიჭა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამართულ კონკურსზე, რომელშიც საქართველოს ყველა ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის შემოქმედებითი წარმომადგენლობა იღებდა მონაწილეობას. ჟიურიმ გალაკტიონზე დაწერილ მოთხრობაში "ნაკვალევი" პირველი პრემია თეიმურაზ ლანჩავას მიაკუთვნა. ამასთან დაკავშირებით ბატონი თეიმურაზი აცხადებს: "ფაქტიურად ბათუმმა და ბათუმელებმა დამილოცეს გზა. ალბათ, ამიტომაა, რომ იქაურობა და იქაურები გამორჩეულად მიყვარს."

1999 წელს თეიმურაზ ლანჩავა გახდა **ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი**. 2000 წელს მიენიჭა საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის პრემია წლის საუკეთესო ნაწარმოებისათვის (პროზა).

2004 წელს მიენიჭა საქართველოს მწერალთა კავშირის **აკაკი წერეთლის სახელობის პრემია** პოეტური კრებულისათვის "მიასვენებდნენ ქარები ფოთლებს".

2006 წელს ჟურნალ "ოლეში" გამოქვეყნებული ლექსებისათვის მიენიჭა **გიორგი ლეონიძის სახელობის პრემია**. არის დავით კლდიაშვილისა და ოთარ მამფორიას პრემიის ლაურიატი.

დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით წიგნისათვის "ერთტომეული" 2007 წელს მიენიჭა **ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია** მთელი შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გათვალისწინებით.

2009 წელს, როგორც მწერალთა და ხელოვანთა გაზეთის "უქიმერიონის" დამაარსებელსა და მთავარ რედაქტორს, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულმა პრემიების კიომიტეტმა პოეტსა და პროზაიკოსს თეიმურაზ ლანჩავას მიანიჭა **ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია**.

თეიმურაზ ლანჩავა მრავალმხრივი შემოქმედია. **პროზის დარგში** გამოქვეყნებული აქვს წიგნები "ჩემი მხიარული მოწყენილობა", "გზა მზისკენ მიდის", "ზამთრის თეთრი მერცხლები", "ჩემი სიკვდილის სინათლე", "ვიღაც იძახდა ჭიშკართან", "ჩამქრალი ვულკანი", "გარდასულ დღეთა უსასრულობა", "ერთი ნაბიჯი ზღაპრამდე", "დაუძინებლად ნანახი სიზმრები", "ზეცის საიდუმლო", ნოველების ერთტომეული.

**პოეზიის დარგში**: "ამღერებული ფერები", "ბედნიერი ხარ უსასრულობით", "გალობა იდუმალებით", "მიუწვდომელი ხარ ძლიერ ახლოს", 2010 წელს გამოაქვეყნა ერთტომეული, რომელშიც მოთავსებულია საუკეთესო პროზაული და პოეტური ნაწარმოებები.

მწერალი თეიმურაზ ლანჩავა მაღალი ზნეობითა და ნათელი იმედების განცდით ზრდის მკითხველს. მისი იდეალია ადამიანი, რომელიც თავისი პიროვნული ღირსებებით ცხოვრებას ამშვენებს. ცხოვრებას ამშვენებს უსახური პერსონაჟი ნოველისა "ომი იყო"... მაიმახი, როგორც მისი პორტრეტიდან ჩანს, თვალშეუდგამ ზნეობრივ სიმაღლეზე აღმოჩნდება კრიტიკულ მომენტში. მაღალ ზნეობას ქადაგებს თეიმურაზ ლანჩავას პოეტური ნიმუშიც. გულგრილად ვერ გადაიკითხავთ ამ სტრიქონებს:

"ნუ გგონიათ რაკი დამთმეთ
ჩემთვის აღარ არსებობთ.
წვიმს, ქოლგის ქვეშ
შემობრძანდით
წვიმამ არ დაგასველოთ."

ცხოვრების ცოდნით ავსებს მკითხველს თეიმურაზ ლანჩავას შემოქმედება: "მოყვარე არა, მთავარია რას იტყვის მტერი, თორემ მოყვარე, უსათუოდ არაფერს გეტყვის."

❖

ნიკო ნიკოლაძე აღიარებული ერუდიტი და მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მისი სახელობის პრემიის დაწესება ახალ საუკუნეში მისი ტრადიციების გაგრძელების ნატვრაა. როგორც ახლა, ამ თუნდაც ზედაპირული მიმოხილვიდან ჩანს – თავიანთი მოღვაწეობით ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურიატები ქმნიან ამქარს, რომელიც ნიკო ნიკოლაძის დევიზით განაგრძობენ შრომას და ბრძოლას ოცდამეერთე საუკუნის საქართველოს წარმატებისათვის.

## ჩემო იური!

დარჩენილი წლები შენი ამაგის გადახდას რომ მოვანდომო, მაინც ვალში ვიქნები შენთან. შენ ის იური ბიბილეიშვილი ხარ, ჩემი მოკრძალებული შემოქმედებისადმი ყურადღება ლამის პროფესიად რომ გაიხადე, რევაზ მიშველაძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი შენი ხუთი წიგნი ერთი დასტურია შენი მაღალი კაცობისა. სხვა მხარე კი შენი მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობაა, ერთდროულად ორ დარგში – ლიტერატურასა და პედაგოგიკაში. ორმაგი დოქტორი ხარ, ფილოლოგიურ მეცნიერებათა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა. ორივე დაცვამ ჩემს თვალწინ ჩაიარა და აღფრთოვანება შენი მეცნიერული პაექრობის გამო შენს ოპონენტებთან დღემდე მომყვა. სტუდენტებისთვის ის ტკბილმოუბარი პროფესორი ხარ, ვინც ნიადაგ ცდილობს ყველაფერი მისცეს თავის სტუდენტებს თავისი ცოდნით დიდი სალაროდან. ამას გარდა დაუვიწყარი ექსპრომტები გაგინათებს ხოლმე გონებას. ამას წინათ დამირეკე, იმ წუთში სტუდენტებს შენს ნოველებზე ველაპარაკებოდი, რაკი მათი მხრიდანაც დაინტერესება ვიგრძენი, სტუდენტებს მივმართე, გინდათ ამ წუთში დაგალაპარაკოთ ცოცხალ რევაზ მიშველაძეს? აი, ახლა ჩემს გვერდით დგანან და თუ კაცი ხარ, არ დაიზარო მათთვის ორიოდე სიტყვის თქმაო. ერთი-მეორეს მიყოლებით მესმოდა უნაზესი ხმები შენი სტუდენტებისა და ბედნიერად ვიგრძენი თავი, რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა მკითხველი საქართველოში. აი, ასეთი დიდებული წუთების მინიჭება შეგიძლია შენ იმისთვის, ვინც შენი მაღალი ყურადღების წიაღში შემოვა. შენისთანა ბრძოლისუნარიანი, უნიჭიერესი, სიცოცხლის ხალისის მქონე კაცისთვის 75 არაფერია, ჩემო იური, მიდი... ფეხდაფეხ მოგყვები.

**შენი რევაზ მიშველაძე**

# ბიჭიკო დიასამიძე - 70



ბიჭიკო დიასამიძის სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი ეძღვნება ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის შესწავლას დასავლეთ საქართველოში-ეგრისში, მაგრამ რაც ყველაზე მეტად დასაფასებელია, იგი არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულად იღწვის ამ მიმართულებით ჩვენს მხარეში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა აჭარაში მოსახლეობის დიდი ნაწილი უბრუნდება მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რწმენას, აუცილებელი გახდა და მოსახლეობის მოთხოვნილებად იქცა ეკლესიების აღდგენა-მშენებლობა და ამ პროცესში ბატონი ბიჭიკო დიასამიძე აქტიურად მონაწილეობს.

XIX საუკუნის მოგზაურ მკვლევართა (დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, თედო სახოკია, ზაქარია ჭიჭინაძე.) ცნობებით ათობით ეკლესიაა დაფიქსირებული აჭარაში XX საუკუნის ბოლოსათვის უკვე არც ერთი ეკლესია აღარ არსებობდა. ამიტომ დღის წესრიგში იდგა ეკლესიების აღდგენა-მშენებლობა და ამ საქმეში აქტიურად იყო ჩაბმული ბატონი ბიჭიკო.

XX საუკუნის 90-იანი წლებისათვის შუახევის რაიონის მარეთის ხეობის მოწინავე ადამიანებმა სხვადასხვა ასაკისა და სპეციალობის (ექიმები: სოლომონ ფუტკარაძე, გივი ცეცხლაძე, მასწავლებელი ვახტანგ მაკარაძე, ჟურნალისტი ოთარ ფუტკარაძე და სხვები) ინიციატივით დაიწყო გამონათლევის წმინდა გიორგის ეკლესიის მშენებლობა. ყველაზე კრიტიკულ ჟამს, როცა ეკლესიის მშენებლობის სახსრების მოძიების საქმეში პრობლემები გაჩნდა, ეკლესიის მშენებლობის შტაბს სათავეში ბატონი ბიჭიკო დიასამიძე ჩადგა. შტაბმა თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქ. ბათუმში მომუშავე ყველა შუახეველი. ფართო მუშაობა გაიშალა წარმოება დაწესებულებებში სახსრების შეგროვების მიზნით და შესაძლებელი გახდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. დღეს გამონათლევში გუგუნებს წმინდა გიორგის ეკლესიის ზარი,მაგრამ დასანანია რომ ეს ვერ ხერხდება ჯერჯერობით ყოველდღიურად.

ასევე დიდია პროფესორ ბიჭიკო დიასამიძის ღვაწლი ქედის რაიონის სოფელ გულების ტერიტორიაზე საქართველოს ერთიანობისათვის წამებულ XVII საუკუნის კათოლიკოსის ევდემოზ პირველი დიასამიძის სახელობის ეკლესიის მშენებლობაში. ბატონი ბიჭიკო, როგორც დიასამიძეთა საგვარეულო კავშირის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კიდევ ერთი ეკლესიის მშენებლობა დასრულდეს წარმატებულად და აღავლინოს ლოცვა ქვეყნის სადიდებლად წმინდა წამებულ ევდემოზ პირველი კათალიკოსის სახელობის ეკლესიამ. ამასთან ყველაზე მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ის, რომ არაერთგზის აღინიშნა ევდემოზობა ამ ეკლესიაში, სადაც ათობით ადგილობრივი მოინათლა ქრისტიანულ რწმენაზე.

პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე აქტიურად მონაწილეობს ყველა იმ ღონისძიებებიში, რომელიც ჩვენს მხარეში ქრისტიანულ რწმენას და ღირებულებების განმტკიცებას უწყობს ხელს:

ა) კითხულობს ლექცია-მოხსენებებს მოსახლეობაში, მოხსენებით გამოდის სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებზე.

ბ) ქრისტიანობისა და ქვეყნის ერთიანობისათვის წამებულთა ღვაწლის პოპულარიზაციის მიზნით კონფერენციების ორგანიზება (თევდორე აჭარელი, სელიმ ხიმშიაშვილი, ევდემოზ კათოლიკოსი)

გ) საქველმოქმედო აქციების ხელმძღვანელობა სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად (ხიხაძირი-წაბლანა, სამეგრელო, სვანეთი...)

დ) საქველმოქმედო საქმიანობა ეკლესიათა მშენებლობა-შემკობისათვის

ე) პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრს, რომელმაც უკვე ჩაატარა ორი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია,ქრისტიანული კულტურის შესწავლისათვის.

ვ) მარტო ქრისტიანობისა და საკულტო დაწესებულებების ისტორიაზე ჩვენს მხარეში 50-მდე ნაშრომი აქვს დაწერილი, მათ შორის 5 ცალკე წიგნად.

ყველა აქ ჩამოთვლილი ღვაწლისათვის პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე იმსახურებს საყოველთაო პატივისცემას.

ვუსურვებ ჩვენს საყვარელ პროფესორს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ წარმატებებს მშობლიურ ისტორიის კვლევა ძიებაში!

დაწყებითი განათლების
II კურსის სტუდენტების
სახელით

**ინგა ბოლქვაძე**

# იური ბიბილეიშვილი – 75



75 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო ქართველ მწერალსა და მეცნიერს იური ბიბილეიშვილს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო იური!

საქართველოს მწერალთა კავშირი,თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან მწერალს, მეცნიერს, საზოგადო მოღვაწეს – პიროვნებას,რომელმაც მთელი ცხოვრება მშობელი ქვეყნის უანგარო სამსახურში გაატარა და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი “შალვა შუბლაძის პოეზია” 1958 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ “ლიტერატურულ აჭარაში” და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი თქვენ გიცნობთ, როგორც უაღრესად პროდუქტიულ კრიტიკოსს. თქვენი კრებულები “ლიტერატურული წერილები”, “ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები”, “დრამატურგების ქალაქი”, “ცხოვრების საზრისი”,”ცხოვრების შუაგულში”, “სული უკვდავი”(2 ტომად), “ნექტრით სავსე ფიალა” და მრავალი სხვა ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული გემოვნებით, პირუთვნელობით, ობიექტურობით, საკვლევი მასალის ღრმა ცოდნით იპყრობს. თქვენი თვალსაწიერის მიღმა არ დარჩენილა თანამედროვე ქართული მწერლობის თითქმის არცერთი საყურადღებო წარმომადგენელი, ვისზედაც თქვენი მართალი, კომპეტენტური მოსაზრება არ გამოგეთქვათ.

თქვენს კალამს ეკუთვნის არაერთი საყურადგებო მონოგრაფია აჭარაში მოღვაწე გამოჩენილი ქართველი მსახიობების შესახებ. სულ ახლახან გამოიცა მონოგრაფიები ისეთ თვალსაჩინო მსახიობებზე, როგორნიც არიან საქართველოს სახალხო არტისტი იური ცანავა(“ხელოვანი სიკეთის სამსახურში”), საქართველოს დამსახურებული არტისტი ამირან ტაკიძე(“სცენას შეწირული სიცოცხლე”) და საქართველოს სახალხო არტისტი აკაკი მგელაძე(“აკაკი მგელაძე”).

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა პედაგოგიკაში. თქვენი მონოგრაფიული ხასიათის გამოკვლევები “ქართული კომენოლოგია”, “ბავშვის განვითარების კონცეფციები იან ამოს კომენსკის მოძღვრებაში”, “ფიქრები აღზრდაზე”, “უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები”, უაღრესად მნიშვნელოვანი სტატიები პედაგოგიკის ისეთ კლასიკოსებზე, როგორნიც არიან ლოკი, რუსო, პესტალოცი, ჰერბარტი, დისტერვეგი, ოუენი, გოგებაშვილი, უშინსკი პედაგოგიკის საყურადღებო შენაძენს წარმოადგენს. ორასამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ბრძანდებით. 1997 წელს პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორის წოდება მოგენიჭათ, 1999 წელს კი – ნაშრომისთვის “აჭარაში მოღვაწე მწერალთა შემოქმედება” – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორისა. არაერთი სამეცნიერო სესიის, სიმპოზიუმისა თუ კონფერენციის მონაწილე ყოფილხართ ბერლინსა და მოსკოვში,პრაღასა და მინსკში, ბაქოში...

ავტორი ბრძანდებით არაერთი პუბლიცისტური სტატიისა.

წლების განმავლობაში მუშაობდით ქართული ენის მასწავლებლად, აჭარის კულტურის სამინისტროს მეთოდისტად,ბათუმის განათლების განყოფილების ინსპექტორად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. არჩეული იყავით საქართველოს პარლამენტის წევრად,აჭარის უზენაესი საბჭოს წევრად.

მონიჭებული გაქვთ აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოებული ხართ აჭარის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ჩეხეთის ეროვნული კრების საპატიო სიგელითა და იან ამოს კომენსკის მედლით.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას,დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს გისურვებთ თქვენს აგრერიგად საჭირო საქმიანობაში.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

# შტრიხები პორტრეტისათვის

ბატონი ბიჭიკო, პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე ფრიად ცნობილი და პოპულარული პიროვნებაა. ეს სახელი და პოპულარობა მას დაუღალავმა შემოქმედებითმა შრომამ, მრავალმხივმა საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა მოუტანა –ქმედითი ხასიათის სიყვარულმა და არა გულში მჯიღის ცემამ.

ჩვენი იუბილარი გულანთებული კაცია. არცერთი საქმე, დიდი თუ პატარა, პირადიც და საზოგადოებრივიც, არ გაუკეთებია მას მთელი გულისა და გრძნობის გარეშე. ამასთანავე, ბატონ ბიჭიკოს აქვს საოცარი უნარი საქვეყნო საქმეებისათვის ადამიანთა დარაზმვის,მათი აღტკინების,აყოლისა და გაძღოლისა. სიტყვით, კალმით თუ საქმით იგი ყოველთვის ფხიზლად დგას სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე,ყოველთვის მოვლენათა შუაგულშია. მის აზრს აფასებენ და ანგარიშს უწევენ საზოგადოებაშიც და ხელისუფლებაშიც.

ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში და რეალურ ცხოვრებაშიც ცნობილია ხასიათის მრავალი ტიპი, ასევე ლიდერის ტიპები. პროფესორი ბიჭიკო დიასამიძე გამოკვეთილი საქმეზე ორიენტირებული, მტკიცე ნებისყოფის მქონე საზოგადოებრივი ხასიათის ტიპია. იქნებ ამიტომაც, რიგ შემთხვევაში,ზომაზე მეტად მკაცრია და პირდაპირი. მაგრამ ეს ჩვეულებრივად, ბუნებრივად აღიქმება ადამიანთა მიერ, ვინაიდან იგი პირადულზე,კერძოზე, სხვის ინტერესებზე მაღლა ყოველთვის საქვეყნო ინტერესებს, საქმის ინტერესებს აყენებს.

მე ზემოთ ვთქვი, ბატონი ბიჭიკო ჩვენი ქვეყნის დიდი პატრიოტი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცია თქო. დიახ ასეა. ეს ჩანს საქმეშიც და მეცნიერულ შემოქმედებაშიც. მისი მეცნიერული ნააზრევი სულ ცოტა ორმაგ დატვირთვას ატარებს: პირველი–როგორც წმინდა მეცნიერული და მეორე,როგორც პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისა და განმტკიცების მიზანმიმართული საშუალება. საქმით ხომ ბატონი ბიჭიკო დღენიადაგ აღვივებს,ამრავლებს, თვალსაჩინოს ხდის და სამოქმედო ძალას აძლევს მოზარდი თუ უფროსი თაობის პატრიოტულ გრძნობებს.

მახსენდება, ბათუმის თეატრში უნივერსიტეტის 75–ე წლისთავისადმი მიძღვნილ შესანიშნავ საღამოზე თბილისიდან ჩამოსული მხცოვანი სტუმარი, აკადემიკოსი გურამ ლორთქიფანიძე,როდესაც დიდი სიყვარულით ლაპარაკობდა თანამედროვე აჭარის გულანთებულ მამულიშვილებზე, ვგრძნობდი, რომ იგი პირველ რიგში ბატონ ბიჭიკოს და მის საქმიანობას გულისხმობდა. რადგან თეატრი ვახსენე, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ იგივე თეატრში,იგივე საღამოზე ბატონმა ბიჭიკომ გამოავლინა თავისი პიროვნების კიდევ ერთი შესაშური მხარე. მან ლამაზი სიმღერა უძღვნა ჩვენს უნივერსიტეტს. დიახ, ბატონ ბიჭიკოს, ყველა სიკეთესთან ერთად,გვარიანი სიმღერაც შეუძლია.

იცოცხლეთ ბატონო ბიჭიკო დიდხანს თქვენი შესანიშნავი შვილებით და შვილიშვილებით. თქვენ ძალიან სჭირდებით უნივერსიტეტს, აჭარას, სრულიად საქართველოს.

სიყვარულით,

**ნოდარ ბარამიძე**

# მეცნიერი და მოღვაწე

დღეს,როცა სალიტერატურო კრიტიკისათვის თითქმის ვერავინ იცლის,იური ბიბილეიშვილი შესაშური გულმოდგინებით, ფართო თბალთახედვით, სანიმუშო ობიექტურობით და სიყვარულით აშუქებს ლიტერატურულ პროცესს. ცალკეული ავტორების შემოქმედებას, რომელთაგან ზოგი შეიძლება სრულიად უცნობი იყოს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბათუმის სამწერლო ცხოვრების მატიანე. მას მხედველობიდან არ რჩება არცერთი საინტერესო ლიტერატურული ფაქტი და მოვლენა. წლების მანძილზე იგი სწავლობდა პედაგოგიკისა და ლიტერატურის პროცესებს, როგორც პროფესორი, პარლამენტარი და ინსტიტუტის დირექტორი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რამაც მის შეხედულებას, მეტი აქტუალობა და დამაჯერებლობა შესძინა.

ღვაწლმოსილ მეცნიერსა და მოღვაწეს, ბატონ იურის, კიდევ ბევრი აქვს სათქმელი ჩვენი ახალგაზრდობისთვის,ჩვენი კოლეგებისათვის და გვჯერა, რომ მისი მართალი სიტყვა კიდევ ბევრჯერ ჩაგვაფიქრებს, კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს.

**სოსო სიგუა**

# პოეზია უპირველეს ყოვლისა

## ლაშა მიქელაძე

### ღამის ოთახი

ღამის ოთახი ჩემს გარდა არ იტევს,
არც ლამაზ ქალს და არც თეთრ როიალს,
ძილამდე ფიქრები თითებს რომ დამიმტვრევს,
ძილში რომ ფიქრები სამყაროს მოიარს.

ოთახი ივსება კვამლის ფენებით და
ეს კვამლიც იმედია ღრუბლებში წამიღებს,
მანამდე დავტკბები ხალხის ფერებით და
მერე კი გრანელი ცისკარსაც გამიღებს.

დღეს მე გავიცანი კაცი მეპოეტე,
მისი საუბარიც არის დამეწერა,
სადღაც გამახსენდა უცებ მე გოეთე,
ფიქრს ბუთხარი დარჩი, მან კი ვბთხრა ვერა.

ღამით გამახსენდა დილის საუბარი,
ოთახს გადავავლე თვალი ალმაცერად,
ისევ ფიქრობდა და სდუმდა სასთუმალი,
ისევ გავიმეტე თავი დასაწერად.

მისთვის ადვილია ძლიერი რითმები და
ჩემთვის რიტმები კი უფრო სისუსტეა,
აზრი დამებადა მისი სიტყვებიდან,
ნუთუ პოეზია სულ სხვა სიჩუმეა.

ძლიერ განვსხვავდებით მე და მეპოეტე,
მაგრამ საერთო კი თურმე რამდენია,
ისევ გამახსენდა სადღაც მე გოეთე,
ჩვენში დღეს რომ ცოცხლობს, ეს კი გრანელია.

### იდუმალ გოგონას

ნაავდრალზე გადაჭრილი ვენები
ანთებული მუზით, სისხლის ფერია,
თუმცა მოხვალ ჩემთან სვენებ-სვენებით,
ისე როგორც ანგელოზებს ჩვევიათ.

ალბათ ისე შემომხედავ როგორაც,
ჩუმად შენში იპარება ფიქრი და,
ხანდახან კი შენი ლექსი მოგორავს,
ემირონის მსგავსად ბერძნულ მითიდან.

ტანზე მიზღონ სამად სამი ლურსმანი,
იმდენადვე სამჯერ გავსამმაგდები,
ანდა კიდევ დამასიონ დუშმანი,
ნაავდრალზე გავიცინებ აგდებით.

***

ზმუის დიაგრამა, მოაქვს ტაეპები,
სისხლსაც მისინჯავენ, მგონი გავრბივარ და
გული ბაგაბუგობს ოჰ რა გამეტებით,
ვატყობ პულსაციაც ორზე გამიმრავლდა.

აგერ დიაგრამამ კოცნაც ამობეჭდა,
და თან მოაყოლა ვნება უდიდესი,
ქალიც გადმოხატა თავთან მე რომ მეჯდა,
ჩემი სიტყვებიც თქვა: ხარო უწმინდესი.

მოდის დიაგრამა, მე კი გამაცია,
ვატყობ მეყინება უკვე ხელები და
მგონი დავემსგავსე ბებერ აცაციას,
სულს რომ ამოატანს ბოლო ხველებიდან.

მოდის დიაგრამა, მოაქვს სტრიქონები,
სიცხეც გადაახტა ოცდამეცხრამეტეს,
ვგდივარ გათანგული, ოფლით ვიპოხები,
ფილტვებმა სასუნთქავად აღარ გამიმეტეს.

თითქოს ჩემს სხეულმა სულიც მიაბარა:
-ღმერთო მე მოვდივარ შენსკენ იცოდეო,
ბოლო სიტყვა ვთქვი და მოდის დიაგრამა,
სიტყვით ორიოდე: დიდხანს იცოცხლეო.

### ლექსი მინდისტური

ლექსი მეწერება, ცოტა მინდისტური,
წამის სათვალავი მგონი ამერია,
ვცდილობ გავიხსენო სუნი თბილისური,
როგორი ფერები და ნაზი ჰაერია.

დარდი შემომაწვა, გავხდი მგლოვიარე,
წამით კიდევ ერთხელ მოკვდა დედამიწა,
ჩემში გაცოცხლდა და ფიქრობს მოლიერი;
წიგნის ფერადი ყდა ლექსებს როგორ იცავს.

რაღაც უშენობის ბოდვა დატრიალდა,
ალბათ, დაგიკოცნი სიზმრად თვალის უპეს,
ახლოს ცოდვილობის ალი აბრიალდა,
და ამ ცოდვილებმა გუშინ მეც დამღუპეს.

შენთვის უცხო სიტყვის გავხდი მათხოვარი,
ჩემი მინდიზმიც კი მგონი საძრახია,
ერთი მიქაელის სამი სათხოვარი,
ალბათ გულის სიღრმის იქით დაგმარხვიათ.

დილის ექვსია და სცივა მეეზოვეს,
მე კი ისევ ისე გავხდი მგლოვიარე,
ვერ შევაგნებინე ვერცერთ ჩემს მეზობელს,
რომ ჩემში გაცოცხლდა და ტირის მოლიერი.

### „გვამთა ხელობა“

სარკოფაგებით დახუნძლულ არეს,
კვლავ შეესივნენ ცოცხალი მკვდარნი,
ამ მოქუფრულ და ნაომარ ღამეს,
საფლავს ითხრიდნენ ჰაერზე მდგარნი.

თავიანთ დაწამლულ, შხამიანი სახელებს,
ქვათა ფირფიტებს ძღვნად უტოვებდნენ,
მიწისკენ დახრილ, დაჩოქილ ხელებს,
სიკვდილის დროის, საათს უტოლებდნენ.

მათი დაშლილი, დაღვრილი სხეული,
საკუთარ თავსაც ვეღარ იტანდა,
გალეშებული, ტვინი – სნეული,
დაშრეტილ კედლებს სისხლით იბანდა.

თხრიდნენ და თხრიდნენ საკუთარ გვამებს,
განუმზადებდნენ მომავალს ბუდეს,
ვეღარ ებრძოდნენ მომნუსხველ წამებს,
სიკვდილი უნგრევდათ სიცოცხლის ზღუდეს.

აჰა, დასრულდა მათი ცხოვრება,
ისინი დიდი ხნის წინათაც მოკვდნენ,
მათი „არსობა“ როსღა ცხონდება?!
სიცოცხლის ხეს ხომ ძველადვე მოსწყდნენ.

**ირაკლი ყურუა**

## ნანა ჯაბნიძე



ნანა ჯაბნიძის გამოჩენა პოეზიაში ორმხრივ საინტერესოა. ჯერ ერთი, იგი სულით პოეტია. მისი პირველი წიგნი „ვედრება“ (2002წ.) უკვე შეიყვარა მკითხველმა. მეორე მხრივ, ეს ახალგაზრდა მომხიბვლელი ქალბატონი, მეცნიერებაშიც წარმატებით იკვლევს გზას. 2008 წლიდან არის სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, გამოქვეყნებული აქვს 2 მონოგრაფია და 32 სამეცნიერო ნაშრომი. მუშაობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტში და აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს.

### აჭარას

შუბლზე გატყვია ფიქრთა ნაოჭი,
გულზე წარსულის გადევს იარა
გაბნეული ხარ ძველ ეტრატებში,
რაც წინაპარმა გამოიარა.
დილით ცისკარი მტრედისფერ ზეცას
მეწამულ ხელით გადასცხებს მირონს,
ასე მგონია არგონავტები
მოადგებიან შენს სანაპიროს.
ხიხანს და პეტრას, გონიოს, სხალთას,
კვლავ ესიზმრება ჭახანი ხმლების,
და ეგებება დილის ალიონს
აჭარის მთები ქართული ხმებით.
ოცნების მანდილს მოისხამ კრძალვით,
შენი სიდიდით სული მშვენდება,
და მე ვუყურებ მტრედისფერ ცაზე
ქართული ღამე როგორ თენდება.
შუბლს მოიშორე ფიქრთა ნაოჭი,
ზღვისკენ გაჭრილი შენ ხარ ფანჯარა,
ივერთა მოდგმის ძირძველო მხარევ,
დედავ და მიწავ, ჩემო აჭარავ.

### პოეზიაში

მინდა ღრმად ჩავწვდე პოეზიის იდუმალებას,
ვიდრე მზე მათბობს, სიყვარული სულს ეძალება,
ლექსის ყვავილი-ცისფერკაბა, იისთვალება
ამ ჩემს გულისთქმას გაგრძნობინებთ და მოკრძალებას.
შეუცნობელი, უსასრულო მტანჯავს წყურვილი,
ღამეულ ფიქრში მიუწვდომელს დავეწაფები,
როგორც ფუტკარი, მინდვრის ყვავილს მოვისურვილებ,
არ მინდა გულში დავიტოვო შავი ძაფები.
მწვანე ჭალებზე, მოსირმული მანდილი დარჩა,
ჩემში ბავშვური, მიამიტი გული ხალისობს,
თავად ბუნებამ მომიქსოვა ფერადი ფარჩა,
რომ ვიდედოფლო პოეზიით და ვიმაისო.
თავბრუს დამახვევს უჩვეულო გრძნობა – დიადი,
და თავის ნებას უცაბედად სულში მომაფენს,
სველ სტრიქონებში მეპარება მზე განთიადის,
გრძნეული ხმები უცნაური გზებით მიმაფრენს.
თეთრი ნისლივით გადავივლი მთებსა და ბექობს,
ლაჟვარდის ტევრში გამიძღვება მზე-ოქროს რაში,
ღმერთმა იმიტომ გამაჩინა, ეს ბედი მერგო, –
სიცოცხლე ჩემი დავასახლო პოეზიაში.

### პეტრას ციხე

უეცრად თვალწინ იშლება სივრცე
თითქოს მოჰქრიან თეთრი რაშები,
ოცნება წრფელი მიმაფრენს ცისკენ,
და მთვარის ნათელს ვეთამაშები.
მხოლოდ ოცნების ნაქსოვ ტევრებში
ჩემს ნეტარებას მოვეფერები,
მიპყრობს, მიტაცებს, მითრევს მორევში
ცა იდუმალი, მისი ფერები.
ნელა მივყვები ნაცნობ ნაპირებს,
უკან მომდევენ ჩრდილთა ლანდები,
შემონთებია ჟინი აპრილებს,
ძველი კოლხური ფოლიანტებით.
ვუცქერი ციხეს მე მორიდებით,
შეუპოვრად დგას უკვდავი ძეგლი,
ზღვას გადმოჰყურებს ძველი დიდებით,
მასში წარსულის სჩანს ანარეკლი.
ცაზე ქრებიან ვარსკვლავნი მნათნი
და პეტრას თავზე ეშვება ალი,
გამოღვიძებას იწყებს კოლხეთი,
როგორც ტრფობისგან დაღლილი ქალი.
სუნთქვაშეკრული მივდევ ნაპირებს,
ცა იღებება მეწამულ ფერით,
სული ზეცაში სრბოლას აპირებს,
მარაოსავით გაშლილი ფრთებით.
ქარი ქრის, ნაზად ეხება რტოებს,
ჩემი გულისთქმა ჩაკლა ვერავინ,
ვგრძნობ, როგორ მიჰყავს და მიაქროლებს
გარდასულ სიზმრებს თეთრი მერანი.

### მარადისობავ

გული მიილტვის ოცნებების ცისფერ წიაღში,
სადაც განცდები არასოდეს არ დამშვიდდება,
დაიტანჯები სიყვარულის მთრთოლავ ტალღაში,
მოგონებები შენს სახეზე დაიბინდება.
ათინათები შეიჭრება ფრთხილად საყდარში,
აღსდგება სუნთქვა დაობილი დროთა ლანდებით,
არ იხმაურებს ქარიშხალი, როგორც ავდარში,
შორს გააცილებ მოჩვენებებს წმინდა სანთელით.
შენ იგივე ხარ, იგივე ხარ, როგორც წარსულში,
სიცოცხლის ცრემლი დაასველებს სულთა იარებს,
სინაზით სავსე ფეხს შეადგამ ტრფობის ტაძარში
და სიხარული შენში ისევ წყნარად იალებს.
შეგაკრთობს ჟრჟოლვა სუნთქვაშეკრულს
ბევრჯერ განცდილი,
გაჰფანტავ ნისლში გადახლართულ ფიქრთა არშიებს,
სულში მზესავით აინთება ნატვრა, წადილი,
შარავანდედი ეფინებათ ჩრდილებს მაშინვე.
გაქრება შიში, მარტოობა კარებს მიხურავს,
უწყვეტ მორევში უკვდავებას შეეფეთები,
ოხვრას გაჰფანტავ და სიამით თვალებს მილულავს
ვნებით შემკრთალი გათანგული სილუეტები.
ატორტმანდება ოცნებებში გზა სინამდვილის,
განცდების მირაჟს აიტაცებს კრძალვით გონება,
ჩამქრალ ბილიკებს გაანათებს კვლავ მზე ამ დილის
და სილამაზე შენკენ ლტოლვას დაემონება.
მარადისობა გააცოცხლებს ლტოლვილ საუნჯეს,
ვარდისფერ ბექობს აღარ წვდება ტანჯვა-გოდება,
გადაიფერთხავ, რაც კი დაგრჩა და რაც გამუნჯებს,
რადგან სიცოცხლე არასოდეს განმეორდება.
გრძნობები მიჰქრის, ოცნების ცას უკვე გაშორდა,
რითაც მგზავრობა არასოდეს არ მომწყინდება,
და ამ ყველაფრის ერთადერთი შენ ხარ გამგონი
და მოგონება შენს სახეზე დაიბინდება.

### ზურაბ გორგილაძეს

ჩვენი ფუძის სიამაყევ! გაგვიბრწყინე თვალები,
არასოდეს ფერს არ იცვლის თქვენი ლექსის ლალები.
შენ ამბობდი: "ვბერდებიო" მგონი კიდეც ნაღვლობდი,
თუმც ლექსს ეს არ დატყობია და უსაზღვროდ ვლაღობდით.
როცა განცდებს აზვირთებულს გულში ვეღარ იტევდი,
გვირიგებდი ეზო-ეზო სიტყვებს მარგალიტების...
არასოდეს გვავიწყდება შენი სახის ნაკვთები,
დროში გამოკვეთილი და ლექსთან ღამენათევი.
თვალწინ გვიდგას ტქვენი სახე, ანთებული ელვარე
ყველა ჩვენი მოკეთისთვის ლექსს ამბობდით მღელვარეს,
წახვედი და თქვენი ქუჩა შემოგვცქერის თვალებში,
"ჰოი და ნანა, ოჰოი ნანა" – გვესმის როგორც ალერსი,
სიტყვა გქონდა ნედლი, ქველი, დანამული მირონით
ლექსი გქონდა ცრემლიანი, ჩვენ გვეგონა ტიროდით.
აქ მიწაზე მეფის ბისონს, ჯობს სიმაღლემ გარწიოს,
მთის ტატნობზე მონავარდე, აჭარის მთის არწივო!..

### დიდი დავითის ალღოთი

**დავით თედორაძეს**

რად ამბობთ"...არ მოვსულიყავ,
იქნებ არმოსვლა მერჩია,"
თქვენი ლექსები სამშობლოს
არ ტოვებს განსაცდელშია;
გვიმძაფრებს განცდას მამულის,
ვინც გიყვართ და "არ ბერდება,"
დიდი დავითის ალღოთი
ქვეყანა კვლავ გამრთელდება.
არ მოგვკლებოდეს ის ჟამი,
როდესაც "გვცნობდნენ დიდებით,"
მამულზე მოსაფერებელს
ვერ დაწერ გულდამშვიდებით.
"ამქვეყნად ყოფნა მარტივი,"
მართლაც არ არის პოეტო,
ვის "საშოვრად სურს სამშობლო"
სწორედ ის მიეთ-მოეთობს.
მართლაც რას "დაწერ უგულოდ",
როს გყავს წინაპრად თამარი,
დე, უსასრულოდ გწვეოდეთ
მუზა ჩიტივით ფრთამალი.

### ის ხომ ქალია

შორიდან მოდის, გინათებს წყვდიადს,
რიჟრაჟ ფერებად,
მის დანახვაზე სიყვარულის
ვნება გერევა.
არც დიდ პიკასოს, არც ბოტიჩელს
არ შეუქმნია...
მის ნატურაში ფეთქებადი
მარტოსულია.
ის არის განცდა,
თუნდაც ვნება დაუცხრომელი
და კუპიდონის ისარივით
დაუნდობელი.
ხელს თუ შეახებ,
დაგიფრთხება, როგორც ფიქრები,
შენში შემოვა,
მაგრამ კოშკებს ნუ შეჰპირდები.
გიცქერის ტრფობით, ზურგს ნუ აქცევ,
ის ხომ ქალია,
თუ გააბრაზე,
ჩრდილოეთის ქარიშხალია.
შორიდან მოდის, გინათებს წყვდიადს,
ვნებით გეხება,
სამოთხედ გიქცევს ამ სამყაროს,
კოხტაფეხება.

## კოტე კაკიტაძე

### უთქვენობის რამდენი წელი გამიცდენია... (ბათუმელ მეგობრებს)

უთქვენობის რამდენი
წელი გამიცდენია...
მახუნცეთში ვიყავი,
ვერ ავედი ნენიას.
ამდენს ერთად ვერ შევძლებ,
ახლა უნდა ვუტიო,
გაისამდე შემინდობს
გულმოწყალე ფურტიო.
ენატრება ჩემს თვალებს,
სახე თქვენი, ნაოცი,
ის ჭრელკაბა გოგონაც,
პატარა მატაოცი.
მეჩემება ჩივებით
აკინძული ოდები,
სინორი და ბორანი...
ძილში დანაბოდები...
გაყვითლებულ ფოტოებს,
ვარჩევ ნევრვებაშლილი,
ჩემი შავი ქოჩორი
თეთრითაა წაშლილი.
ჭრელი კაბაც გამქრალა,
სარეკს სულ სხვა აქანებს,
ნეტავ, როგორ შევხედო
საუკუნის მანქანებს?
გიდგათ ძველი ტაბლები,
სამფეხი და ფეშხუმი?
ვითომ მართლა მიცნობენ
ჩირუხი და ბეშუმი?
თუ მიცნობენ, მაშინაც,
გულში ვინ რას გაივლებს?
არა, ვერ დავამძიმებ,
ჩემი სულით აილებს.
ჯვარზე ვკოცნი ქვის კეცს და
სულში ყრმობას ვატირებ.
ნუ დამზრახავთ, გაისად,
ხიხანისკენ ვაპირებ.
უთქვენობის რამდენი
წელი გამიცდენია!
მახუნცეთში ვიყავი!
ვერ ავედი ნენიას!

# შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნების რეგიონალური და გლობალური პოლიტიკა



შუა აზიისა და კავკასიის ქვეყნების რეგიონალურ და გლობალურ პოლიტიკას ანტალიის ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტი მეორე წელია რაც სწავლობს. კვლევა ამავე უმაღლესი სასწავლებლის პროექტის „შუააზიისა და კავკასიის ქვეყნების რეგიონალური და გლობალური პოლიტიკის“ ფარგლებში მიმდინარეობს. მისი მიზანია თურქეთის მოსახლეობას პროექტში მონაწილე 11 ქვეყანა გააცნოს და ხელი შეუწყოს მეზობელ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას.

პროექტში ჩართული თითოეული ქვეყნის შესახებ ინფორმაციის შესაკრებად, არსებული მდგომარეობის გასაცნობად და ანალიზის გასაკეთებლად წარმომადგენელია წარგზავნილი. ანტალიის ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობის მაგისტრანტი ჰურიე ილბირინი საქართველოში სწორედ ამ მისიით იმყოფება. ქალბატონ ჰურიეს ქვეყნის შესწავლა დედაქალაქის გაცნობით არ შემოფარგლულა. იგი ბათუმშიც ჩამოვიდა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დახმარებით ქალაქსა და აქ არსებულ მდგომარეობას გაეცნო. თუ როგორ აპირებს აჭარისა და საერთოდ, საქართველოს წარდგინებას,ამაზე თავად მაგისტრანტი გვესაუბრება:

– ვფიქრობ ძალიან გამიმართლა, რომ სამუშაოდ საქართველოში მომიწია ჩამოსვლა. აქ მოხვედრამდე მეგონა, რომ მასზე ბევრი რამ ვიცოდი. აღმოჩნდა,რომ ვცდებოდი. ეს ქვეყანა საოცრად სწრაფად ვითარდება და ძლიერდება. მშენებლობის ბუმია პატარა, ზღვისპირა ქალაქშიც. ეს ყველაფერი პროექტის „შუააზიისა და კავკასიის ქვეყნების რეგიონალური და გლობალური პოლიტიკის“ ფარგლებში გამოცემულ წიგნში აისახება.

2010 წლის ბოლოსათვის წიგნი გამოქვეყნდება ორ ნაწილად. პირველი ამ ქვეყნების უახლესი პერიოდის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ასახავს. კავკასიის ქვეყნებში პოსტსაბჭოური პერიოდიდან ვიწყებთ მუშაობას და დღემდე მოვდივართ. მიმოვიხილავთ არსებულ მდგომარეობას და გავაანალიზებთ. მეორე ნაწილი გაცნობითი ხასიათის იქნება. მისი საშუალებით მკითხველს შეეძლება ქვეყნის კულტურული, მეცნიერული მიღწევები გაიზიაროს, რაც მას პოპულარიზაციას გაუწევს. პროექტის უპირველესი მიზანიც ეს არის. გვსურს ასევე, თურქეთმა პროექტის ყველა მონაწილე ქვეყანასთან ურთიერთოებები დაამყაროს და განამტკიცოს. მართალია, საქართველოსა და თურქეთს მრავალწლიანი მეგობრობა აკავშირებს, მაგრამ დიდი სურვილია თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდეს და რაც შეიძლება მეტი სფერო მოიცვას.

პროექტს მასპინძელი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების დახმარებით ვახორციელებთ. ბათუმში მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. ვიმედოვნებთ,ამ უმაღლეს სასწავლებელთან ურთიერთთანამშრომლობა ამ პროექტით არ დასრულდება. სურვილი გვაქვს გაგრძელდეს და ერთობლივი პროგრამები განვახორციელოთ, ავამოქმედოთ სტუდენტთა და პროფესორ–მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები,- აღნიშნა ჰურიე ილდირიმმა.

პროექტი „შუააზიისა და კავკასიის ქვეყნების რეგიონალური და გლობალური პოლიტიკა“ ანტალიის ხმელთაშუაზღვის უნივერსიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

**მანანა თავდგირიძე**

## იშვიათი დაავადებების მართვის ოპტიმიზაციის საკითხები



იშვიათი დაავადებების თანამედროვე მართვის პრობლემებს მიეძღვნა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „იშვიათი დაავადებების მართვის ოპტიმიზაციის საკითხები საქართველოში”. პროფესორ-მასწავლებლებმა და პრაქტიკოსმა ექიმებმა იშვიათი დაავადებების დიაგნოსტიკისა და სწორი მკურნალობის მნიშვნელობაზე იმსჯელეს. ჰოლანდიელმა ექსპერტმა ელიზაბეტ სიბერიუსმა ქართველ კოლეგებს სხვადასხვა ქვეყნის იშვიათ დაავადებათა მართვის გამოცდილება გაუზიარა. კონფერენციის მონაწილეებმა შეიმუშავეს მეთოდი,რაც ხელს შეუწყობს საინფორმაციო ბანკის შექმნასა და დაავადებულთა დროულ გამოვლენას.

კონფერენცია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და „ალიანსი იშვიათი დაავადებებისათვის“ ორგანიზებით გაიმართა.

## სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები



სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის რიგით მეოთხე არჩევნები ჩატარდა. სტუდენტთა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო 68 წევრით დაკომპლექტდა. საარჩევნო პროცედურას არასამთავრობო ორგანიზაციების „ახალი თაობის“, „ბორჯღალოსა“ და სტუდენტური თვითმმართველობის წევრობის კანდიდატების წარმომადგენლები აკვირდებოდნენ. არჩევნებში სულ 1477 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა.

## უნივერსიტეტის სადისკუსიო კლუბი



სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის იურიდიული დეპარტამენტის, იურიდიული კლინიკისა და ნატო-ს საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით პროექტის „უნივერსიტეტის სადისკუსიო კლუბის“ ფარგლებში შეხვედრა გაიმართა თემაზე: “კრიმინალური მენტალიტეტი”. ახალგაზრდებმა პროფესორ-მასწავლებლებთან და ექსპერტებთან ერთად კრიმინალური მენტალიტეტის პრობლემაზე ფილმები: „დავსაჯოთ თუ შევიწყალოთ“ და „საპყრობილეები“ განიხილეს. სტუდენტებში იურიდიული ცნობიერების ამაღლების მიზნით მომავალში ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესების მოწყობაც იგეგმება.

## შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე



„ერთად დავამარცხოთ შიდსი“ - ამ დევიზით შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და საინიციატივო ჯგუფის თ -ის წარმომადგენლებმა შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით რამდენიმე ღონისძიება გამართეს. ახალგაზრდებმა ქალაქის ქუჩებში სპეციალური ფლაერები დაარიგეს. აქციის მონაწილეებმა კონფერენციაზე „მე მიყვარს სიცოცხლე“ აივ-ინფექციის გავრცელებისა და თავიდან აცილების საშუალებებზე ისაუბრეს. შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები სტუდენტური როკ-კონცერტით დასრულდა.



75 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ცნობილი მეცნიერი, ქართული ეთნოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ვახტანგ შამილაძე.

დიდია ვახტანგ შამილაძის ღვაწლი ქართული ეთნოლოგიური სკოლის განვითარების საქმეში. მისი 10 მონოგრაფია და 200-მდე სამეცნიერო სტატია ქართველი ხალხის მეურნეობის, მატერიალური და სულიერი კულტურის, საზოგადოებრივი ურთიერთობების, ეთნოსისა და ეროვნული პოლიტიკის, ისტორიული ეთნოლოგიისა თუ სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც მრავალ ენაზეა ნათარგმნი, ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებდა. მისი ბოლო 600 გვერდიანი მონოგრაფია „საქართველოს ეთნოლოგიის ისტორია” (I, 2009), ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების დიდი შენაძენია. სამწუხაროდ, ბატონი ვახტანგი ველარ მოესწრო თითქმის დასრულებული ნაშრომის მეორე ტომის გამოცემას.

ვახტანგ შამილაძის მოღვაწეობა მხოლოდ სამეცნიერო სფეროთი როდი შემოიფარგლებოდა. მრავალფეროვანი იყო მის მიერ წაკითხული ლექციების თემატიკა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტებში წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ზოგადი, საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიის, ძირითადი თეორიული მიმდინარეობების, მეთოდოლოგიის საკითხებზე. მკვლევარის პირადი კონტაქტების წყალობით და მისივე ინიციატივით, საქართველოში თუ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ჩატარდა არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სიმპოზიუმი.

დიდია ვახტანგ შამილაძის დამსახურება ეთნოლოგთა სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი ხელდასხმულია თსუ-ს ეთნოლოგიის კათედრაზე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, საქართველოს სხვა სამეცნიერო ცენტრებში (სოხუმი, თბილისი, ახალციხე), საზღვარგარეთ (ისრაელი, ბულგარეთი, ადიღე, დაღესტანი, აზერბაიჯანი) მოღვაწე 20 მეცნიერებათა კანდიდატი და 10-მდე მეცნიერებათა დოქტორი. მას დიდი წვლილი მიუძღვის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ორგანიზაციული და მეცნიერული საქმიანობის დაგეგმვასა და განმტკიცებაში. წლების მანძილზე მუშაობდა ინსტიტუტის სწავლულ მდივნად და დირექტორად, ხელმძღვანელობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრას. სათავეში ედგა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან არსებულ კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიას, რომელმაც მისი ხელმძღვანელობით აღადგინა სსრკ-ს დაშლის შემდეგ გაწყვეტილი მეცნიერული კონტაქტები კავკასიის ქვეყნების სამეცნიერო წრეებთან.

ვახტანგ შამილაძის ღვაწლის აღიარებაა ისიც, რომ იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოლოგიური კომისიის, კავკასიის ხალხებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, ამერიკის შეერთებული შტატების ბიოგრაფიული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოსა და აშშ-ს კავკასიის კულტურათა შემსწავლელი საზოგადოების წევრი, ნიუ-ორლეანის საპატიო მოქალაქე, 2002 წელს მსოფლიოს 1000 ცნობილ მეცნიერთა ნომინაციის გამარჯვებული.

ბატონი ვახტანგი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, არამედ საუკეთესო ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნება.

ვახტანგ შამილაძე გამოირჩეოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობით. არჩეული იყო სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრად, აჭარის არ უზენაესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატად. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიური ეროვნული მოქალაქეობრივი პოზიციით.

ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ბატონმა ვახტანგ შამილაძემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ მეცნიერებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგებსა და მეგობრებში.

**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი,**
**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია,**
**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.**

**გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოხატავს ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ეთნოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ–კორესპონდენტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის**

**ბატონ ვახტანგ შამილაძის**

**ტრაგიკული დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## ახალი წიგნები

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო კახა გაბუნიას, ლალი




ეზუგბაიას და ჭაბუკი ქირიას ავტორობით გამოცემული წიგნი „ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“. 2006 წელს ფოლსკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის საფუძველზე გერმანია,დიდი ბრიტანეთის და საქართველოს ენათმეცნიერები იკვლევენ ქართული ენის,როგორც სახელმწიფო ენის თანამედროვე სტატუსს და მისი ფუნქციონირების საკითხს. ასევე სოციოლინგვისტური მიზნებიდან გამომდინარე მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენს კვლევა–ძიება იმის დასადგენად, თუ სოციალური ცხოვრების რომელ სფეროში გამოიყენება ქართველური ენები.

გულსატკენია, რომ დღეს ქართველები ნაკლებ ინტერესს იჩენენ მეგრულ–ლაზური და სვანური ენების მიმართ. ენათმეცნიერთა მიერ გამოკითხულ რესპოდენტთა 80 %–ს არც კი სმენია მეგრულ ენაზე გამოცემული წიგნების შესახებ. (მეგრულ ენაზე თარგმნილია „ვეფხისტყაოსანი“,ფოლკლორული მასალები). ხშირად განათლების ენა გაიგივებულია წერით კომუნიკაციასთან. წიგნში გადმოცემულია ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორის ომარ მემიშიშის მიერ ლაზურ ენასთან დაკავშირებული კვლევა–ძიების შედეგები. ლაზები დღეს ლაზურს არ ივიწყებენ,იციან და ამაყობენ ამ ენის ცოდნით. თურქეთში ლაზები გესაუბრებიან ლაზურად და შემდეგ გადადიან თურქულზე. ოჯახის ენა ლაზურია. სკოლაში რომ წავლენ, მერე ქართულად სწავლობენ და ისიც იციან. ნაშრომში საინტერესო მასალაა წარმოდგენილი თუ რომელი ენები გამოიყენება რელიგიური, საოჯახო და ყოფითი ურთიერთობის ნიშნით. მასში ასევე წარმოდგენილია სოციოლინგვისტური კითხვარების ანალიზი.

********************************

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო არნოლდ ჩიქობავას სახ-




ელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის, ენის მოდელირების ასოციაციის ერთერთი დამფუძნებლის პროფესორ ლალი ეზუგბაიას ნაშრომი „მეგრულ–ლაზურის გრამატიკის საკითხები“. მასში წარმოდგენილია მეგრულ–ლაზურის მორფოლოგიური, მორფონოლოგიური, მორფოსინტაქსური და სემანტიკური სისტემის კვლევა გრამატიკული რიცხვის და პირის კატეგორიების მიხედვით. ქალბატონი ლალი ეზუგბაია ძირითადად იკვლევს ქართველურ ენებს, მეგრულ–ლაზურის გრამატიკის პრობლემებს. იგი არის ქართული ენის გრამატიკის ელექტრონული სისტემის ავტორი.

## ნაჩუქარი წიგნები

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო ალექსანდრე წურწუმიას წიგნი „გეოპოლიტიკური ცვლილებები დროსა და სივრცეში“. ავტორი ნაშრომის შესავალ ნაწილში თავის




მოსაზრებას გამოთქვამს დღეს პოლიტიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებულ ზოგიერთ ტერმინთან დაკავშირებით. ტერმინ „ნატოს“ მაგივრად გვთავაზობს მის შესატყვისს ქართულ თარგმანს ჩახოს. საერთაშორისო ენიდან გამომდინარე ტერმინი „ნატო“ პოლიტიკურ ლექსიკონში დამკვიდრებული ტერმინია. აქედან გამომდინარე და თუ გინდ გამოთქმის ფორმითაც „ნატო“ ჯობია ჩახოს. რაც შეეხება ნაშრომში მოცემულ გეოგრაფიულ ტერმინს „Закавказье“, ის უფრო რუსების მიერ დამკვიდრებული გეოპოლიტიკური მცნებაა,რომელიც რუსეთის გეოპოლიტიკური საზღვრებიდან გამომდინარე აქეთურზე მეტად კავკასიის იქით რუსეთზე დამოკიდებულ ქვეყნებს გულისხმობს. ამიერკავკასიის ქვეყნები აზერბაიჯანი და სომხეთი რუსულ ლექსიკონში შესულია აზერბაიჯანისა და არმენიის სახელით, ხოლო გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს რუსული სახელწოდება „გრუზია“, რომელიც „ტვირთთან“ კი არა, არამედ გურჯისტანთანაა გაიგივებული. ავტორი ასევე განსაზღვრავს მცნებებს: გეოპოლიტიკა, გეოსტრატეგია, გეოპოლიტიკური ძვრა,პოლიტიკურ–გეოგრაფიული ცვლილება და ა.შ. ერთგან ავტორი აღნიშნავს, რომ ვახტანგ მეექვსის დროს საქართველო აღარ წარმოადგენდა ევროპის სტრატეგიულ ინტერესთა ობიექტს. სინამდვილეში კი ეს ასე არ იყო. როგორც დღეს,ისე ისტორიის ყოველ პერიოდში, საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ყოველთვის წარმოადგენდა არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა ინტერესის სფეროს. ი.ბ. სტალინის არ იყოს, ანგარიშს ძლიერებს უწევენ და არა სუსტებს. რუსეთის იმპერიის დამაარსებელმა,პეტრე პირველმა ,ფანჯარა გახსნა ევროპისკენ და ევროპა იმ პერიოდში საქართველოზე მეტად ძლიერ რუსეთს და თურქეთს უწევდა ანგარიშს. პეტრე დიდმა მოატყუა ვახტანგ მეექვსე, რომელსაც სხვა გზა აღარ დარჩენოდა,რომ არა მთლიანად მინდობოდა რუსეთს. თვით ევროპაც კი რუსეთზე ამყარებდა იმედებს. ეს კარგად ჩანს ავტორის მიერ წიგნში მოყვანილი ფრანგი განმანათლებლის ვოლტერის მიერ ეკატერინე მეორისადმი გაგზავნილი წერილიდან, სადაც ნათქვამია, რომ თუ კი ოდესმე თურქეთი იქნება გაძევებული ევროპიდან, ეს უსათუოდ რუსების მიერ აღსრულდება. 1770 წლის 2 იანვარს ვოლტერი წერდა ეკატერინეს, რომ ქართველებს აღარ სურთ უგზავნონ მუსტაფას თავისი ქალწულები. მას გულით წადია, რომ ეს მართალი არ გამოდგეს და ყველა ქართველი ქალწული რუსი მამაცი ოფიცრების ხელში გადავიდეს. ვოლტერს მიაჩნია, რომ რუსებმა თავისი ვაჟკაცობით ეს დაიმსახურეს. ფრანგი განმანათლების, ვოლტერის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს,თუ როგორ უყვარდათ საქართველო და როგორ აფასებდნენ ქართველებს ევროპელი განმანათლებლები. დღეს, ისტორიული ბედუკულმართობის გამო,ქართველი ქალები იძულებულნი არიან ივაჭრონ მეზობელი თურქეთის ბაზრობებზე. მკვლევარის მიერ წარმოდგენილ ნაშრომში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამერიკელი მეცნიერის და სამხედრო პირის ალფრედ მეჰენის მიერ განსაზღვრული სახელმწიფო ძლიერების ექვსი კრიტერიუმი, რომელთა შორის განსაკუთრებულ ადგილს იჭერს გეოგრაფიული მდებარეობა და ეროვნული ხასიათი.

********************************

ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, დღეს უკვე მეცნიერმა ლაშა ჩხარტიშვილმა, სამეცნიერო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცა მისი წიგნი „იუსუფ კობალაძე“. წიგნს წამძღვარებული აქვს თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძის საკმაოდ ვრცელი და ღრმა შინაარსიანი წერილი, გამოჩენილი ქართველი მსახიობის, იუსუფ კობალაძის მიერ განვლილი დიდი და სახელოვანი გზის შესახებ. ავტორი წიგნში საინტერესოდ განიხი-




ლავს იუსუფ კობალაძის შემოქმედებით ცხოვრებას. ნაშრომში სრულყოფილადაა წარმოჩენილი ნიჭიერი მსახიობის შინასახე.

როგორც ბათუმელს,მეც მქონდა ბედნიერება ბავშვობიდან გავცნობოდი იუსუფ კობალაძის სამსახიობო ხელოვნებას. იმ დროს საღამოს სპექტაკლებზე ბავშვები არ დაიშვებოდნენ, მაგრამ იუსუფ კობალაძის მიერ განსახიერებული ანტიკური „ღვთაება“ ოიდიპოსის ნახვის სურვილი იმდენად დიდი იყო , რომ ბიჭებმა ჩვენთვის გავიჩინეთ თეატრში საიდუმლო შესასვლელი. თეატრის ერთ კუთხე–კუნჭულში ჩაცუცქულნი შიშნარევი სიხარულის გრძნობით ველოდით როდის გამოვიდოდა თეთრ სამოსელში გახვეული ღვთის ხმით მოსაუბრე ანტიკური გმირი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ გასასვლელში დიდხანს ველოდით ბატონი იუსუფის გამოჩენას,რომ ერთხელ კიდევ შევხვედროდით მას. თითოეულ ჩვენთაგანს თავისი გმირი მსახიობი ჰყავდა, რომლისთვისაც სიხარულით დავდიოდით თეატრში. მკვლევარს ნაშრომში გამოყენებული აქვს მდიდარი ფოტოდოკუმენტური მასალა, რის საფუძველზე ჩვენს თვალწინ ცოცხლდება იმდროინდელი ბათუმის თეატრის ცხოვრება. ბატონ იუსუფ კობალაძის პიროვნებას მეტ სიძლიერეს ანიჭებს წიგნში გამოყენებული დიდ ხელოვანთა მოგონებები. წიგნს დართული აქვს იუსუფ კობალაძის რეპერტუარი თეატრსა და კინოში.

## სამეცნიერო კრებული

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო 2010 წლის 25 იანვარს თსუ–ში ჩატარებული მე–5 სამეცნიერო კონფერენციის კრებული, რომლის თემაა „ქრისტიანობა და ეკონომიკა“. კრებულში დიდი ადგილი აქვს დათმობილი გლო-




ბალიზაციის პერიდში ეკონომიკურ საკითხებს. დეკანოზი ბასილ ახვლედიანი მსოფლიო ეკონომიკის დამანგრეველი კრიზისის უმთავრეს მიზეზად ასახელებს მსოფლიო ვალუტის აშშ დოლარების მასიურ წარმოებას და გავრცელებას მსოფლიო მასშტაბით. 1971 წლიდან 2009 წლამდე დოლარის მასა ათჯერ გაიზარდა და ბევრად ჭარბობს მსოფლიო სასაქონლო მასის რეალურ მოცულობას. ვერაფრით ვერ გავიზიარებთ ავტორის შეხედულებას მასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს პირობებში თითქოს და შესაძლებელია ასი ათასი დოლარიდან ორ მილიონ დოლარამდე სიმდიდრე შეიქმნას პატიოსანი შრომით.

ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორი ბესიკ ბოლქვაძე თავის სტატიაში აანალიზებს და ადგენს ეკონომიკისა და ზნეობის ურთიერთ მიმართების და ურთიერთ შეხამების გზებსა და საშუალებებს. ნაშრომში მკვლევარის მიერ მოყვანილი არგუმენტების საფუძველზე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ 21-ე საუკუნის ადამიანის სისტემა,რომელიც შემდეგი სახით წარმოგვიდგება „ჰომო საპიენს+ჰომო ეკონომიკის+ჰომო ნაციონალის+ჰომო მორალის= ჰომო ცივილის“. ვფიქრობთ, რომ ეკონომიკასა და ზნეობას შორის არის კიდევ ერთი მთავარი განსხვავება, კერძოდ ეკონომიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი სახელმწიფო, ხოლო ზნეობა და მორალი კი განეკუთვნება ჭეშმარიტი მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის სფეროს.

ეკატერინე გულუა სტატიაში „მართვის ბიბლიური პრინციპები“ მიდის იმ დასკვნამდე,რომ უფროსია ის,ვინც თავის თავს მართავს, ვისაც სახლში უფროსობა უნდა, მან პირველად საკუთარი სული უნდა მართოს. თუ საკუთარ სულს ვერ წარმართავს, სადაც მარტოა და ბატონ პატრონია,მაშინ სხვათა წარმართვას როგორ აპირებს? ვინც სახლს მართავს, ის ქალაქსაც წარმართავს,ხოლო ვინც ქალაქის წარმართვა შეძლო, ის სახელმწიფოსაც გაუძღვება. ვისაც საკუთარი სულის წარმართვა არ შეუძლია,ის სახელმწიფოს როგორ გაუძღვება? სამეცნიერო კრებულში ასევე წარმოდგენილია სხვა ავტორთა მნიშვნელოვანი გამოკვლევები.

********************************

ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიის




განყოფილებამ გამოსცა მორიგი მეხუთე კრებული „სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები“. მასში შესულია საქრთველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე მეცნიერთა შრომები.

********************************

სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მიიღო ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების მიერ გამოცემული „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული –12“. წიგნის რედაქტორი ცნობილი ეთნოლოგი პროფესორი




როლანდ თოფჩიშვილი სარეცენზიო წერილში განიხილავს ავტორთა შრომებს. მასში ძირითადად წარმოდგენილია კავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის ისტორიის საკითხები.

გვერდი მოამზადა

**მერაბ მეგრელიშვილმა**

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე
სპეციალისტები:
ნესტან მამუჩაძე
თამილა აბაშიძე



სარედაქციო კოლეგია:
იური ბიბილეიშვილი
ბიჭიკო დიასამიძე
მამია ფაღავა
ნანა ცეცხლაძე
მერაბ მეგრელიშვილი

დაიბეჭდა
ს.ს „პოლიგრაფისტი“
ზ. გორგილაძის 91

7-59-10; 7-59-11